ახალი განათლება

2015 წელი, 5 - 11 მარტი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№9 (683) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ვიფიქროთ არა იმაზე, თუ რას გვაძლევს სამშობლო, არამედ თავად რას ვაძლევეთ მას

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია ალექსანდრე პეტრიაშვილი, პრაღის უმაღლესი ეკონომიკური სკოლის სტუდენტი

„როდესაც საკუთარი ქვეყნიდან შორს იმყოფები, რა თქმა უნდა, უფრო მეტად ფიქრობ სამშობლოზე. ჩემი აზრით, უფრო ობიექტურადაც აფასებ მოვლენებს. საჭიროა ვისწავლოთ ერთმანეთის მოსმენა, განსხვავებული აზრის პატივისცემა. ნუ შეგვეშინდება საკუთარი აზრის გამოთქმის, ვიყოთ განათლებულები, რათა არ მოვექცეთ ბრბოს ზეგავლენის ქვეშ. ნუ დავივიწყებთ ღირებულებებს, ტრადიციებს. ვიფიქროთ არა იმაზე, თუ რას გვაძლევს სამშობლო, არამედ თავად რას ვაძლევეთ მას. როცა ამ ყველაფერს ვისწავლით, ჩამოვყალიბდებით დამოუკიდებელ ერად და შევქმნით ღირსეულ დემოკრატიულ ქვეყანას. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია დავიწყოთ ფიქრი ევროპაზე.“

გვერდი 4

ცვლილებები აბიტურიენტთა ცნობარში

გაცნობებთ, რომ აბიტურიენტთა ცნობარში შევიდა რამდენიმე ცვლილება:

➢ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ, 2015 წლის 25 თებერვალს, შპს სასწავლო ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) საგანმანათლებლო პროგრამებს მიანიჭა აკრედიტაცია. შესაბამისად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანკეტა-კითხვარში ასახული ყველა პროგრამა **აკრედიტებულია და ჩარიცხულებზე ვრცელდება სახელმწიფო გრანტის გაცემის წესი.**

➢ ჰეიდარ ალიევის სახელობის საქართველო-აზერბაიჯანის სასწავლო უნივერსიტეტს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ, 2015 წლის 23 თებერვალს, **გაუუქმა ავტორიზაცია**, შესაბამისად, აღნიშნული სასწავლებელი **ამოღებულია 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საინფორმაციო ცნობარიდან.**

➢ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი“ **არის აკრედიტებული** (და არა ავტორიზებული) **და ჩარიცხულებზე ვრცელდება სახელმწიფო გრანტის გაცემის წესი** – უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ ანკეტა-კითხვარში გაპარული იყო უზუსტობა – „აკრედიტებულის“ ნაცვლად ეწერა „ავტორიზებული“.

გვერდი 3

G-PRIED ამ სკოლაში ყველგან და ყველაფერში იგრძნობა

მე-12 კლასში შემავალი საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ისტორია, ინგლისური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამის/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დასაძლევი გამოცდების ჩატარების განრიგი

№	საგანი	თარიღი	დრო	
1	ქართული ენა და ლიტერატურა	16 მარტი, 2015 წელი	I სესია – 10.00	II სესია – 13.00
2	მათემატიკა	17 მარტი, 2015 წელი	I სესია – 10.00	II სესია – 13.00
3	ისტორია	18 მარტი, 2015 წელი	I სესია – 10.00	II სესია – 13.00
4	სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება	19 მარტი, 2015 წელი	I სესია – 10.00	II სესია – 13.00
5	ინგლისური ენა	20 მარტი, 2015 წელი	I სესია – 10.00	II სესია – 13.00

ნიგნის თარო

ხელმომწერთა საყურადღებოდ

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების, საყმაწვილო ენციკლოპედიის და მაღალი კლასების თემატური პლაკატების ფასში ცვლილებაა. იხილეთ გვ. 11

პედაგოგთა დასახმარებლად

გაკვეთილის ორგანიზების ფორმები

გერმანული ენა

გვერდი 7

ინფორმაცია

განათლება ყველასათვის 2015 წლის შემდგომ

პარიზში, იუნესკოს მთავარ ოფისში, გაიმართა ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების რეგიონული მინისტერიალი თემაზე: „განათლება ყველასათვის 2015 წლის შემდგომ“.

კონფერენციას საქართველოს მხრიდან ესწრებოდნენ – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი** და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე **ირინა აბულაძე**. კონფერენციაზე განიხილეს მანიფესტი, რომელიც ეხმიანება შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს: ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა, ინკლუზიური განათლება, სკოლამდელი განათლება, სწავლა სიცოცხლის მანძილზე, უნარები და კომპეტენციები ცხოვრებისა და დასაქმებისთვის, განათლება მდგრადი განვითარებისა და გლობალური მოქალაქეობისთვის, განათლება კრიზისულ სიტუაციებში, განათლების მართვა, კოორდინაცია და მონიტორინგი. კონფერენციაზე ქვეყნების დელეგაციებს შესაძლებლობა მიეცათ გამოეთქვათ მოსაზრებები პრიორიტეტულ მიმართულებებთან დაკავშირებით, რათა მანიფესტის საბოლოო ტექსტში ასახული ყოფილიყო კონკრეტული ქვეყნების განათლების და სოციალურ-ეკონომიკური სპეციფიკა.

ვიზიტის ფარგლებში მოეწყო სხვა მნიშვნელოვანი მაღალი დონის შეხვედრები: ქეთევან ნატრიაშვილი შეხვდა **ერიკ ფალტს** – იუნესკოს გენერალური მდივნის მოადგილეს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსა და იუნესკოს სტრუქტურების თანამშრომლობის პერსპექტივები განათლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. ასევე, აღინიშნა 2015 წელს იუნესკოს მშვიდობის ელჩად არჩეული ცნობილი პიანისტის **ელისო ბოლქვაძის** ჩართულობის მნიშვნელოვნება კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ ბავშვთა განათლების ხელშეწყობის მიმართულებით.

უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების კუთხით შეხვედრები მოეწყო იუნესკოს მასწავლებელთა განვითარებისა და უმაღლესი განათლების სამსახურის დირექტორთან **დევიდ აჩოარენასთან**, ამავე სამსახურის წარმომადგენელთან **ინგა ნიშანიანთან**, რომელიც კურირებს საქართველოს. შეხვედრაზე გამოიკვეთა შემდგომი თანამშრომლობის შესაძლებლობები უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიმართულებით.

კონფერენციის შედეგად შექმნილი რეგიონული მინისტრების მანიფესტი დაიგზავნება მონაწილე მხარეებთან, საბოლოო ვერსიაზე შესათანხმებლად და მოეწერება ხელი, რითაც საქართველო ადასტურებს მზაობას, გადადგას ნაბიჯები განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის მიმართულებით.

კონკრეტული მოქმედებების და მთავრობათშორისო მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდის განხილვები ამ თემაზე დაგეგმილია 2015 წლის მაისში, კორეის რესპუბლიკაში, მსოფლიო განათლების ფორუმზე.

სოფელ ლამბალოში 1000 მოსწავლეზე გათვლილი სკოლა შენდება

საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მრავალკონტინგენტიანი საჯარო სკოლის მშენებლობა ხორციელდება. სკოლის მშენებლობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** გაეცნო.

მერვე წელია, სოფელ ლამბალოს 1000-ზე მეტი მოსწავლე ოჯახებში მოწყობილ არასტანდარტულ, სასწავლო პროცესისათვის სრულიად შეუფერებელ საკლასო ოთახებში სწავლობს. სკოლა რამდენიმე ნაქირავებ შენობაშია განთავსებული, სასწავლო ობიექტები ერთმანეთისაგან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. მოსწავლეებს ურთულეს პირობებში უწევთ სწავლა, რაც მათ ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც აისახება.

ახალი სკოლის შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება, სადაც გათვალისწინებულია ყველა დეტალი, ადგილმდებარეობის სპეციფიკა და ნიუანსები, ტერიტორიის მთლიანი ფართია 6438 კვ.მ., სკოლის შენობის ფართი – 7113 კვ.მ. შენობა სამსართულიანია და ოთხი ძირითადი ბლოკისგან შედგება. სკოლას ექნება: თანამედროვე გათბობის სისტემა, სპორტული და სააქტო დარბაზები დამხმარე სათავსოებით, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო კლას-კაბინეტები, სასადილო, 300 კვ.მ-ის ღია სპორტული მოედანი. შენობა, ასევე, ადაპტირებული იქნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, სკოლის მთელი ტერიტორია გამწვანდება და კეთილმოეწყობა. ახალ სასწავლო წელს ლამბალოელი მოსწავლეები უკვე ახალ შენობაში გააგრძელებენ სწავლას.

სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლაში ორი სექტორია: ქართული და აზერბაიჯანული. ქართულ სექტორზე მხოლოდ 80 მოსწავლეა, 935 მოსწავლე აზერბაიჯანულენოვანია, 70 პედაგოგიდან 25 მასწავლებელი ქართველია, დანარჩენები კი აზერბაიჯანელები არიან.

საქართველოში ზოგადი განათლების ხარისხის გაძლიერებისთვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA – Georgia) აღმასრულებელმა დირექტორმა **მაგდა მაღრაძემ**, საქართველოში მოქმედი დიპლომატიური კორპუსის, დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან საკოორდინაციო შეხვედრა გამართეს.

საკოორდინაციო შეხვედრა სისტემურ ხასიათს ატარებს და რეგულარულად იმართება, რაც ხელს უწყობს განათლების სფეროში მიმდინარე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციებისა და მთავრობის მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას, კოორდინირებასა და მიღწევების განხილვას.

ზემოაღნიშნული შეხვედრის ძირითადი თემა იყო დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ გაცნობა.

ღონისძიების ფარგლებში, მოწვეული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ისაუბრეს მათ მიერ განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი საგანმანათლებლო პროექტების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს განათლების სფეროში მიმდინარე პროგრამების ხელშეწყობასა და გაძლიერებას. აღნიშული სახის შეხვედრები მნიშვნელოვნად ზრდის დონორებსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის მჭიდრო კოორდინაციასა და კომუნიკაციას.

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტების შესაძლებლობები გაძლიერდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს აღმასრულებელმა დირექტორმა **მაგდა მაღრაძემ** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებთან შეხვედრა გამართეს.

ქართველი პროფესორები, აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს უმაღლესი განათლების კომპონენტის ფარგლებში, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ, სადაც ადგილზე გაეცნენ ამერიკულ სასწავლო პროგრამებს, ეწვივნენ საინჟინრო და ტექნოლოგიურ ლაბორატორიებს და ამერიკელ კოლეგებს ცოდნა და გამოცდილება გაუზიარეს.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების ვიზიტი საქართველოდან 2014 წლის ზაფხულიდან დაიწყო და მომავალშიც გაგრძელდება. პროგრამა მიზნად ისახავს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკელი კოლეგების გაცნობას საქართველოს სამი სახელმწიფო პარტნიორი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის, ხელმისაწვდომობის ზრდას თანამედროვე მიდგომებთან და ტექნოლოგიებთან, რომელიც საქართველოში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო და ტექნოლოგიური მიმართულების საბაკალავრო პროგრამების განსახორციელებლად დაინერგება.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა საქართველოში 2015 წლის სექტემბრიდან დაიწყება. პროგრამაში ჩართულ სტუდენტებს ლექციებს წაუკითხავენ როგორც ამერიკელი, ასევე ადგილობრივი პროფესორები. აღნიშნული უნივერსიტეტი 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფო კვლევითი უნივერსიტეტია ამერიკაში და დასახელებულია, როგორც ინოვაციური ცვლილებების დამნერგავი სასწავლებელი ამერიკაში (U.S. News & World Report).

აღნიშნული უნიკალური პროგრამა ხორციელდება აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე – 140 მილიონი აშშ დოლარის – კომპაქტის ფარგლებში, საიდანაც უმაღლესი განათლების კომპონენტის განხორციელებისთვის 30 მილიონი აშშ დოლარია გამოყოფილი.

თსუ-ში ჩინური ენისა და კულტურის კაბინეტი გაიხსნა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ**, თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა **ვლადიმერ პაპავამ** და საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა **იუე ბინიმ** ჩინური ენისა და კულტურის კაბინეტი გახსნეს. კაბინეტი, საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსა და HUAWEI-ს წარმომადგენლობის თანადგომით, კომპიუტერული ტექნიკითა და საჭირო ავეჯითაა აღჭურვილი.

„საქართველო და ჩინეთი დიდი ხანია თანამშრომლობენ სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, საგანმანათლებლო კუთხით. ცენტრის გახსნა კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უწყობს ხელს ჩვენი პარტნიორი ქვეყანა განათლების ხარისხის ამაღლებას. მნიშვნელოვანია, რომ ამ საქმეში კერძო კომპანიაა ჩართული. ჩვენს ქვეყნებს შორის ორმხრივი ხელშეკრულების თანახმად, მნიშვნელოვნად გააქტიურდება სტუდენტთა მობილობა. ჩვენმა სტუდენტებმა წარმატებით უნდა გამოიყენონ ეს შესაძლებლობა,“ – აღნიშნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის „შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის“ მიმართულება ორ მოდულს – სინოლოგიას (ჩინური ენა, კულტურა, ჩინეთის ისტორია) და იაპონისტიკას მოიცავს. სინოლოგიის მიმართულებაზე ამჟამად ოცდაათამდე სტუდენტი სწავლობს, რომელთაც, ქართველ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად, ჩინელი სპეციალისტები ასწავლიან ჩინურ ენასა და კულტურას.

გასულ წელს, ჩინეთის ელჩის იუე ბინის ინიციატივით, თსუ-ს ჩინური ენის სახელმძღვანელოები და ჩინეთის შესახებ ლიტერატურა გადმოეცა.

გარდაიცვალა განათლების სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, 48-ე საჯარო სკოლის დირექტორის ყოფილი მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში და ისტორიის დამსახურებული მასწავლებელი

ნადია იასონის ასული რაზმაძე

გამოვთქვამთ დიდ მწუხარებას და სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს.

მეგობრების ჯგუფი

დაწყებითი განათლება

G-PRIED ამ სკოლაში ყველგან და ყველაფერში იგრძნობა

ლალი ჯელაძე

ქუთაისის №32 საჯარო სკოლაში საჩვენებელი გაკვეთილები, მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრა და მშობელთა მონაწილეობით ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების მიზანი იყო, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ხელშეწყობით, საჯარო სკოლაში, დაწყებით საფეხურზე დანერგილი სიახლეების დემონსტრირება.

* * *

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულ პროექტს, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ინოვაციური, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების შემოღებასა და დანერგვას. პროექტების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქართული და ეთნიკური უმცირესობის 300 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის I-VI კლასების ქართული ენის, ქართულის, როგორც მეორე ენისა და მათემატიკის მასწავლებლები და დაწყებითი საფეხურის, დაახლოებით, 40 000 მოსწავლე საქართველოს ყველა რეგიონიდან.

დაწყებითი განათლების 5-წლიანი პროექტი აუმჯობესებს დაწყებითი კლასების მოსწავლეთა უნარებს კითხვასა და მათემატიკაში, მასწავლებლებისათვის სწავლების ახალი სტრატეგიების გაცნობის, ხარისხიანი საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფისა და კითხვასა და მათემატიკაში საგნობრივი ექსპერტების კომპეტენციების ზრდის გზით.

დაწყებითი განათლების პროექტი, ასევე, ხელს უწყობს სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების მოდელის შემუშავებასა და დანერგვას, რაც ითვალისწინებს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შექმნას მასწავლებელი ფასილიტატორების ხელმძღვანელობით და პროცესში სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერას. პროექტი ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში საზოგადოებისა და მშობელთა ჩართულობას, რასაც დიდი წვლილი შეაქვს საჯარო სკოლებში მდიდარი სასწავლო გარემოს შექმნაში.

პროექტის ფარგლებში დაინერგა ინოვაციური სასწავლო მეთოდები, რაც გულისხმობს თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალურ მიდგომას და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ სწავლების მეთოდებს. სკოლებს გადაეცათ მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები; მასწავლებელთა პროფესიული თანამშრომლობისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფები; განხორციელდა მშობელთა ჩართულობის პროგრამა ბავშვის სასწავლო პროცესში.

* * *

ინოვაციური მეთოდების, საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) მიერ შექმნილი დამატებითი საგანმანათლებლო რესურსებისა და მათემატიკის მანიპულატივების გამოყენებით, ღონისძიების ფარგლებში, კითხვისა და მათემატიკის საჩვენებელი გაკვეთილები გაიმართა.

პროექტის მონაწილე პედაგოგებმა აჩვენეს, თუ როგორ იყენებს მასწავლებელი ტრენინგებზე მიღებულ ცოდნას, სწავლების ინოვაციური მეთოდების შესახებ, პრაქტიკაში, როგორ ხორციელდება მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსისა და თვალსაჩინოების გამოყენება კლასში და პროექტის მიერ შემოთავაზებული აქტივობების დახმარებით, როგორ მიმდინარეობს მშობელთა ჩართვა ბავშვის განათლების პროცესში.

შეჯამდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების – **ანა ჭანტურიას**, **ნინო დოლაბერიძის**, **ნანა კაცაძის**, **ლელა მოსეშვილის**, **სალომე თადუმაძის**, **მაკა ჭელიძის**, **თამარ გურაბანიძის**, **მადინა ჭელიძის**, **რუსუდან ხობუას**, **თამარ მურუსიძის**, **თამარ ხმალაძის** – მიერ გაწეული მუშაობა კითხვასა და მათემატიკაში. სკოლას სტუმრობდნენ: აშშ საერთაშორისო სააგენტოს წარმომადგენელი **ნენსი პარკსი**, G-PriED-ის დირექტორი **ქეთი ჩაჩხიანი**, **გია ნოზაძე** – მათემატიკის ექსპერტი, განათლების სამინისტროდან – **ლაშა მკურნალიძე**, მერიიდან – **მერაბ დანელია, აზა ტყავაძე**, ქალაქის რესურსცენტრის უფროსი **ბადრი ვაშაკიძე** და მთავარი სპეციალისტი **ნინო მამრიკიშვილი**, ტრენერები, საპილოტე სკოლებისა და მეზობელი სკოლების წარმომადგენლები.

ნენსი პარკსი, USAID-ის „საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის“ ხელმძღვანელი: *„საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი“ ფინანსდება ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ და მისი მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეების უნარების გაუმჯობესებას კითხვასა და მათემატიკაში. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ არაერთ აქტივობას ვახორციელებთ, მასწავლებლებს ტრენინგებს ვუტარებთ ინოვაციური მეთოდების გასაცნობად. ასევე, ვმუშაობთ სკოლის დირექტორებთან, გვყავს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფები სკოლაში, ვატარებთ სხვადასხვა ტიპის დიაგნოსტიკურ შეფასებას. ყველაფერი ეს ხდება იმ მიზნით, რომ პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, მოსწავლეებს ჰქონდეთ უკეთესი შედეგები კითხვასა და მათემატიკაში.“*

ჯეინარ კოლუაშვილი, ქუთაისის 32-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„ჩვენი სკოლის პედაგოგები, სწავლების დაწყებითი საფეხურის ქართულისა და მათემატიკის მასწავლებლები, ბოლო სამი წლის განმავლობაში გაწეულ მუშაობას აჯერებენ. მესამე წელია, აქტიურად ვართ ჩართულები პროექტში, რომელიც მხარდაჭერილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ და ფინანსდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ. პროექტი გათვლილია სწავლების დაწყებითი საფეხურისთვის, განსაკუთრებით მიმართულია ქართულისა და მათემატიკის უნარ-ჩვევების დაუფლებისკენ, შესაბამისად, ამ საგნებში მიღებული ცოდნის საფუძველზე, მოსწავლეები მომავალში სხვა სასწავლო დისციპლინების თავისუფლად დაუფლებას შეძლებენ.*

ეს გაკვეთილები სხვა ტრადიციული გაკვეთილებისგან იმით განსხვავდება, რომ პროექტში ჩართულობით და აქტიური მონაწილეობით, სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა შეიძინეს ინოვაციური სწავლების კომპეტენციები, რასაც ჩვენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს ვუწოდებთ. ეს მეთოდები მოწონებულია მასწავლებლებისა და მოსწავლეების მხრიდან, განსაკუთრებით გავამახვილებ ყურადღებას მშობლების აქტიურობაზე, რადგან ამ პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი სწორედ მშობელთა ჩართულობაა.“

ნათელა ხაზარაძე, სკოლაში საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) კოორდინატორი: *„საპილოტე პროგრამაში სამი წელია ვართ ჩართული, აპრილში ორგანიზაცია ჩაატარებს ტესტირებას და გაზომავს ბავშვების შედეგებს, თუ როგორ ამაღლდა მათი უნარ-ჩვევები კითხვასა და მათემატიკაში. ამ პერიოდში მასწავლებლებმა მართლაც უდიდესი შრომა გაწიეს – ტრენინგების პარალელურად, მიმდინარეობდა მონიტორინგი, სადაც ფასდებოდა გაკვეთილები. რადგან საპილოტე პროექტი დასასრულისკენ მიდის, გადავწყვიტეთ, საჩვენებელი ღია კარის დღე მოგვეწყო როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელებისთვის, ისე იმ სკოლებისთვის, რომლებიც ჩვენს რეგიონში არიან ჩართულები ამ პროგრამაში. ღონისძიების პარალელურად, სამი გაკვეთილი ჩაიწერა ვიდეოფირზე, რაც შემდეგში დამხმარე რესურსი გახდება იმ 500 სკოლისთვის, რომლის პროექტში ჩართვაც სექტემბრიდან იგეგმება. ჩვენი სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლების სამწლიანი მუშაობა თავად ნენსი პარკსიმ დადებითად შეაფასა. გადაუჭარბებლად გეტყვით, რომ ის აღფრთოვანებული დარჩა სკოლაში პროექტის მიმდინარეობით. ჩვენმა მასწავლებლებმა, გაკვეთილების გარდა, პროექტში მშობელთა ჩართულობაც წარმოაჩინეს. პროექტის ფარგლებში ფუნქციონირებს კითხვის საათი, რომლის მიზანია, მშობელი უფრო აქტიურად ჩაერთოს შვილის სასწავლო პროცესში. პროგრამამ მართლაც გაამართლა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სკოლა, 2005 წლიდან, სხვადასხვა პროექტში მონაწილეობს და სკოლის პედაგოგთა უმეტესობა ინოვაციური მეთოდებით მუშაობს, ამ პროექტმა ერთგვარი მობილიზება გაუკეთა დაწყებითი კლასის მასწავლებლების მუშაობას. თავად ორგანიზაციის მიერ გაწეული შრომაც ნაყოფიერი აღმოჩნდა, რაც ჩვენი პედაგოგების კარგ შედეგებზე აისახა. უკეთეს შედეგებს კი აპრილისთვის ველოდებით.“*

ლელა მოსეშვილი, დაწყებითი კლასების მასწავლებელი: *„პროექტზე მუშაობა ბევრის მომცემი იყო თითოეული პედაგოგისთვის. განსაკუთრებით საინტერესო იყო ის აქტივობები, რაც ამ ხნის განმავლობაში მუშავდებოდა – ვგულისხმობ პირველ კლასში „პაუზებით კითხვას“ და „ვარაუდებით კითხვას“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აქტივობა – „მთელი“, „ნაწილი“ და „მთელი“. ბავშვები ისმენენ მასწავლებლის მიერ შექმნილ ტექსტს, რომელიც წინადადებებად იჭრება, წინადადებები – სიტყვებად და ბოლოს ხელახლა იწყობა იმ ტექსტად, რომელიც მათ მოისმინეს. ბავშვებმა კარგად გაართვეს თავი ამ დავალებას, რადგან გამოცდილება აქვთ და შესაბამისი უნარიც განუვითარდათ. მესამე კლასში იყო ასეთი თემა: „მონაცემთა ანალიზი“. გაკვეთილმა კარგად ჩაიარა, აღფრთოვანებული დარჩნენ სტუმრები, განსაკუთრებით მოეწონათ ჯგუფური მუშაობა – დავალება ასეთი იყო: წიგნის სარჩევიდან ბავშვებს უნდა ამოეკრიბათ ქართული და უცხოური ზღაპრები და მოთხრობები, შემდეგ ცხრილში შეეტანათ და პიქტოგრამები შეედგინათ. თითოეულმა მოსწავლემ კარგად გაართვა თავი დავალებას.*

ჩვენმა კოლეგებმა, ტრენერებმა დადებითად შეაფასეს ჩატარებული გაკვეთილი. თუმცა, ამით ჩვენი მუშაობა არ დასრულებულა, ტრენინგები გაგრძელდება, ხოლო აპრილში ბავშვებს ტესტირებები ჩაუტარდებათ, არასაპილოტე სკოლების მოსწავლეთა ტესტირების შედეგებთან შესადარებლად“.

რუსუდან ხობუა, VI კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: *„G-PriEd-ის პროექტმა ბევრი საინტერესო აქტივობა გამოგვაყენებინა, ამ მეთოდების შესახებ, დაახლოებით, ჩვენც ვიცოდით და ზოგიერთს ვიყენებდით, მაგრამ იყო ჩვენთვის უცნობი მეთოდებიც. აქტივობები საინტერესოა როგორც ვერბალური, ისე ვიზუალური მხრით. ძალიან კარგად იმუშავა სქემებმა, ბავშვებს უყვართ სქემების შევსება, რაც ტექსტის სრულყოფილად გააზრებაში ეხმარებათ. გარდა ამისა, ამ პროექტის აქტივობები ხელს უწყობს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას. პერიოდულად ტარდებოდა დიაგნოსტიკური ტესტირებები – საინფორმაციო, მხატვრული და ლექსიკური მარაგის გასამდიდრებელი. საერთო ჯამში, პროექტმა მოსწავლეებისთვის გაკვეთილი სახალისოც გახადა და უფრო იოლად აღსაქმელიც. ამის გარდა, პროექტის ფარგლებში, გაიზარდა მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში. პროექტის ხელმძღვანელმა ნენსი პარკსიმ, ტრენერებმა და მოწვეულმა სტუმრებმა ჩვენი სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლების მუშაობა დადებითად შეაფასეს. შემიძლია გითხრათ, რომ პროექტმა მიზანს მიაღწია“.*

შორენა ბიბიჩაძე, მშობელი: *„ჩვენი სკოლა წარმატებულად ახორციელებს ამ პროექტს და მშობლებიც აქტიურად ვართ ჩართულები სხვადასხვა სახის აქტივობებსა თუ ღონისძიებებში. ძალიან მომწონს „კითხვის კლუბი“, რომელიც პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა. სასიამოვნო პროცესია, როცა მასწავლებლებთან ერთად, ჩვენც ვმონაწილეობთ ბავშვების უნარების განვითარებაში როგორც კითხვის, ისე მათემატიკის, ასევე, წერა-კითხვის შესწავლაში. დიდი მადლობა ყველაფრისთვის ამ პროექტის წარმმართველებს და მხარდამჭერებს.“*

„ეს სკოლა კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ხელმძღვანელმა შექმნას სწავლაზე და წარმატებაზე ორიენტირებული სასკოლო გარემო, სადაც დირექტორი, მასწავლებლები, მშობლები და სკოლის თითოეული თანამშრომელი ერთი მიზნის გარშემოა გაერთიანებული. მიხარია, რომ G-PriEd ამ სკოლაში ყველგან და ყველაფერში იგრძნობა“ – ამბობს G-PriEd-ის დირექტორი **ქეთი ჩაჩხიანი.**

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

ვიფიქროთ არა იმაზე, თუ რას გვაძლევს სამშობლო, არამედ თავად რას ვაძლევეთ მას

რუბრიკის სტუმარია ალექსანდრე პეტრიაშვილი

– ალექსანდრე, როგორ გახსენდება სკოლაში გატარებული წლები, შენი მასწავლებლები... რამდენად წარმატებული მოსწავლე იყავი... განსაზღვრა თუ არა სკოლამ შენი პროფესიული მომავალი?

– პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ თქვენს გაზეთში სტუმრად მოწვევისთვის. არ შემიძლია, არ გამოვხატო დიდი სიმპათია თქვენი გაზეთისადმი, თქვენდამი და იმ საქმისადმი, რასაც ემსახურებით. ჩემი აზრით, განათლების სფერო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ქვეყნისთვის. ილია ჭავჭავაძე ამბობდა: *„ბედი იმისია, ვინც ძლიერია, ძლიერი მხოლოდ მცოდნე კაცია“.*

ვსწავლობდი თბილისის 182-ე საჯარო სკოლაში. სიმართლე გითხრათ, ეს სკოლა სახელით შეიძლება პირველ კლასიკურ გიმნაზიას ვერ შეედაროს, მაგრამ იქ, დღემდე, საქართველოში საუკეთესო მასწავლებლები ასწავლიან. მათი დამსახურებით, ბავშვობიდანვე ჩამომიყალიბდა შრომისმოყვარეობის, აკადემიური დისციპლინისა და პასუხიმგებლობის უნარი. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით, კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს პედაგოგებს. სწავლის პროცესი ჩემთვის ბავშობიდანვე სასიამოვნო და საინტერესო იყო, ამავდროულად, წარმატების მომტანიც. პირველი დიდი წარმატება ინტელექტუალურ თამაშში „ეტალონი“ მონაწილეობა და გამარჯვება იყო, შემდეგ სკოლის სტიპენდიანტი გავხდი.

– განათლების მიღება საზღვარგარეთ ქართველი ახალგაზრდებისთვის სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ნებისმიერ სტუდენტს სურს საზღვარგარეთ სწავლა, თუმცა, ეს არც ისე ადვილია, მხოლოდ სურვილი და არჩევანი არ კმარა. გვიამბე, რა გზა გაიარე საქართველოდან ჩეხეთის რესპუბლიკამდე და რატომ აირჩიე განათლების მისაღებად ქალაქი პრაღა?

– მოხარული ვარ, რომ საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. დამეთანხმებით, ალბათ, რომ განათლებული პროფესიონალები ჩვენს ქვეყანას ძალიან სჭირდება, რადგან განათლებული საზოგადოება ქვეყნის წინსვლისა და განვითარების საწინდარია. ყოველთვის მინდოდა საზღვარგარეთ განათლების მიღება, მსურდა, საინტერესო, მრავალფეროვან და წარმატებულ გარემოში მესწავლა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩავაბარე ეროვნული გამოცდები და, სრული დაფინანსებით, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. სწავლა ახალი დაწყებული მქონდა, როდესაც ჩეხეთის რესპუბლიკის სასტიპენდიო პროგრამის შესახებ შევიტყვე. ბევრი არც მიფიქრია, განაცხადი იმ დღესვე შევიტანე, მაგრამ, სამწუხაროდ, გრანტის მისაღებად ძალიან ცოტა დამაკლდა. არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა ჯგუფს, ვინც ფარ-ხმალს მალე ყრის, ამიტომ გადავწყვიტე, შემდეგ წელს ბედი ისევ მეცადა. შეიძლება თამამად ითქვას, რასაც მიზნად დავისახავ, ყოველთვის ვაღწევ. მიზნის მისაღწევად მთავარია, არ დანებდე და გქონდეს ბრძოლის უნარი. მეორე კურსზე ვიყავი, ჩეხეთის საელჩომ კონკურსი ისევ რომ გამოაცხადა, მაგრამ საკონკურსო პირობები შეცვლილი იყო, მხოლოდ ერთ სტუდენტს ირჩევდნენ, ოთხის ნაცვლად. პირველ ეტაპზე, საუკეთესო მოსწრების სტუდენტები აგვარჩიეს და გასაუბრებაზე დაგვიბარეს. რუსულისა და ინგლისური ენის ცოდნის შემოწმების გარდა, ასევე გამოგვკითხეს ჩეხეთის რესპუბლიკის შესახებ. ძლიერი კონკურენტები მყავდა და ცოტა მეშინოდა, ვაითუ, ამჯერადაც არ გამმართლებოდა, მაგრამ იმ იღბლიან სამეულში მოვხვდი, ვისაც უფლება ჰქონდა, ჩეხეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტროში გაეგზავნა საბუთები. ამავდროულად, ძირითად კანდიდატად დავსახელდი, დანარჩენი ორი – რეზერვად. ნახევარი წელი ველოდე პასუხს და ძალიან კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც დამირეკეს, 2009 წლის 25 ივნისი იყო, დროც კი მახსოვს ზუსტად – 10 საათი და 49 წუთი. პირველ წელს ვისწავლე ჩეხური ენა პატარა სტუდენტურ ქალაქ პოდებრადში. ენის კურსების დამთავრების შემდეგ, წარმატებით ჩავაბარე გამოცდები პრაღის უმაღლესი ეკონომიკური სკოლის ფინანსებისა და ბუღალტერიის ფაკულტეტზე.

– გვიამბე პრაღის უმაღლესი ეკონომიკური სკოლის ისტორია

– პრაღის უმაღლესი ეკონომიკური სკოლა 1953 წელს დაარსდა და, დღესდღეობით, ჩეხეთში ყველაზე დიდი ეკონომიკური უნივერსიტეტია (სიდიდის მიხედვით მესამე ადგილზეა), 6 ფაკულტეტისა და მის ბაზაზე არსებული 10 ინსტიტუტისგან შედგება. ბაკალავრიატი 3-წლიანია, მაგისტრატურა – 2 და დოქტორანტურა – 3. სწავლის საფასურს რაც შეეხება, სახელმწიფო უნივერსიტეტებში ჩეხურ ენაზე სწავლა უფასოა. სტიპენდიის შესანარჩუნებლად საჭიროა დაკმაყოფილდეს პროგრამის პირობები. ენის შესწავლის შემდეგ კონკურსანტმა უნდა ჩააბაროს და ისწავლოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩეხურ ენაზე; ბაკალავრიატი უნდა დაამთავროს სამ წელიწადში, შესაძლებელია უფრო ადრე დამთავრებაც, მაგრამ თუ ამ ვადას გადააჭარბებს, ავტომატურად ეხსნება სტიპენდია; ბაკალავრიატის სამ წელში დამთავრების შემდეგ, ავტომატურად აფინანსებენ მაგისტრატურასაც. თუ გსურს, გააგრძელო დოქტორანტურაზე სწავლა, ამ შემთხვევაში, საელჩოში განაცხადი სტიპენდიაზე ახლიდან შეგაქვს.

– რა პროფესიას ეუფლები და რამ განაპირობა პროფესიის არჩევანი? რომელ კურსზე ხარ?

– ვარ საბუღალტრო აღრიცხვისა და ფინანსური მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი. ბაკალავრიატიც ამავე განხრით დავამთავრე, ამავე უნივერსიტეტში. იმდენად მიყვარს ციფრები და მათთან მუშაობა, რომ ბავშვობიდან ვიცოდი, ფინანსების განხრით გავაგრძელებდი სწავლას. მიყვარს ჩემი პროფესია და ვიცი, ყოველთვის სიამოვნებით ვიმუშავებ ჩემი სპეციალობით.

– როგორ ხდება სტიპენდიების და გრანტების გაცემა უცხოელ სტუდენტებზე, რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები, არის თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები?

– პირველ რიგში, ჩემს უნივერსიტეტში მოხვედრა და შემდეგ მაღალი აკადემიური მოსწრებით სწავლა ადვილი არაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, როგორც ჩეხეთის სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ჩვენთანაც წარჩინებულ სტუდენტებს შიდა სტიპენდია აქვთ. მაქვს, ასევე, დამატებით, მცირე სტიპენდია, ვინაიდან ვცხოვრობ საერთო საცხოვრებელში. ასეთი სტუდენტებისთვისაც უნივერსიტეტი თვითონ გასცემს სტიპენდიებს. სხვა დამატებითი პრივილეგიით წარჩინებული სტუდენტები არ სარგებლობენ, მაგრამ, ზოგადად, სტუდენტის სტატუსი, დამატებით, კიდევ ბევრ შეღავათს იძლევა.

– პრაღის უმაღლეს ეკონომიკურ სკოლაში, ალბათ, ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი სწავლობდა. ვინ არიან ისინი, გვიამბე მათ შესახებ.

– არ შემიძლია არ დაგეთანხმოთ, აქ სწავლობდა ფირმა „Bata“-ს დამაარსებელი ტომაშ ბატა, თანამედროვე მენეჯმენტის ფუძემდებელი პიტერ დრუკერი, ევროკომისიის წევრი გიუნტერ ვირჰიუგენი, ჩეხეთის რესპუბლიკის ახლანდელი პრეზიდენტი მილოშ ზემანი, ნობელის პრემიის 3 ლაურეატი, ამერიკის პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის, მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში ვილიამ ნისკანი, ჩეხეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ვაცლავ კლაუსი (ამჟამად უნივერსიტეტში მუშაობს) და კიდევ ჩეხეთის მრავალი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე.

– რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამებისა და ლექციების შესახებ. რამდენადაც ვიცი, მსგავს სასწავლებლებში ლექციების წასაკითხად ცნობილ ადამიანებს იწვევენ, ვინ არიან ისინი?

– სასწავლო პროცესი სტუდენტის ინტერესებზე მაქსიმალურადაა მორგებული, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს. ლექციებზე დასწრება თავისუფალია, ამიტომ ვისაც არ სურს იქ ყოფნა, შეუძლია არ დაესწროს. ეს, ჩემი აზრით, კარგია, იმიტომ რომ ლექციის ჩასატარებლად ხელისშემშლელი ფაქტორი ფაქტობრივად ნულზეა დაყვანილი. საგნები იყოფა სავალდებულო და თავისუფალ საგნებად. თავისუფალი საგნების არსებობა არჩევანის შესაძლებლობას გვიტოვებს, რაც საშუალებას გვაძლევს, ჩვენთვის საინტერესო საგნები უნივერსიტეტში მოწვეული მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი სპეციალისტისგან ვისწავლოთ. მაგალითად, მქონდა საგანი, რომელსაც მსოფლიოში ცნობილი სააუდიტორო კომპანიის Ernst&Young მთავარი ბუღალტერი მიკითხავდა. ხშირად სტუმრობენ და კითხულობენ ლექციებს ჩეხეთის ყოფილი და ახლანდელი პრეზიდენტები.

– რა როლი უჭირავს ჩეხეთში საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს?

– საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა ერთ-ერთ უმთავრეს როლს ასრულებს საფუძვლიანი ცოდნის მიღებაში. ჩემი აზრით, სასწავლო პროცესი, მდიდარი და კომფორტული ბიბლიოთეკის გარეშე, წარმოუდგენელია. პრაღის უმაღლეს ეკონომიკურ სკოლას ლიტერატურის მდიდარი ბაზა აქვს, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს, ხელი მიუწვდებოდეს სასურველ ლიტერატურაზე. ბიბლიოთეკებში წიგნების რამდენიმე ეგზემპლარია, ამიტომ სტუდენტს აღარ უწევს მისი ყიდვა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ძალიან ხშირი სტუმარი ვარ, განსაკუთრებით წინასაგამოცდო პერიოდში.

– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს ევროპულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით?

– როგორც ზემოთ აღვნიშნე, სასწავლო პროცესი ევროპაში სტუდენტზეა მორგებული. უნივერსიტეტებში ისეთი გარემოა შექმნილი, რომ სტუდენტს მოტივაცია ყოველდღიურად ეზრდება. აქვთ უამრავი გაცვლითი პროგრამა. ჩემი აზრით, საქართველოში დასახვეწია სასწავლო პროცესი, კადრების სწორი მენეჯმენტი. აუცილებელია ბიბლიოთეკებისა და სასწავლო გარემოს შესაფერის დონეზე მოწყობა და შემდეგ მისი შენარჩუნება.

– უცხოეთში, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაწესებულებაში რეგისტრაციის შედეგად, უცხოელ სტუდენტებს, სწავლის პირველივე წლიდან, უფლება აქვთ იმუშაონ ნახევარ განაკვეთზე, გაქვს თუ არა მუშაობის შესაძლებლობა?

– რა თქმა უნდა, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ჩეხეთშიც უცხოელ სტუდენტებს ნახევარ განაკვეთზე მუშაობის უფლება აქვთ. ძალიან ბევრი სტუდენტი მუშაობს სწავლის პარალელურად. მეც, როდესაც ბაკალავრიატზე ვსწავლობდი, ვმუშაობდი კონსულტანტად, არდადეგებზე – თარჯიმნად, მაგრამ მაგისტრატურაზე სწავლის პერიოდში იმდენად ვარ დატვირთული, რომ მუშაობისთვის დრო არ მრჩება.

– პრაღა მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქადაა მიჩნეული, რამდენიმე მეტსახელიც აქვს, დროისა და კონტექსტის მიხედვით, მათ შორის: „ოქროს ქალაქი“, „ოთხმოცდაათიანების მარცხენა სანაპირო“, „ქალაქთა დედა“, „ევროპის გული“... შენ რას დაარქმევდი ამ ქალაქს? სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს?

– მე შემიძლია, დამატებით, ვუწოდო „პრაღა – ლიტერატურის ქალაქი“. არ შეიძლება, აღუნიშნავად დავტოვო ის ფაქტი, თუ როგორ უყვართ კითხვა ჩეხებს. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობენ, საუზმობენ თუ სადილობენ, ჩეხებს ცალ ხელში წიგნი უჭირავთ. აქ პატარა ბავშვიც კი კითხულობს, რამაც, თავდაპირველად, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. არ შემიძლია არ აღვნიშნო პრაღის სილამაზე, რომელიც წარუშლელ კვალს ტოვებს ნებისმიერ დამთვალიერებელზე. სამწუხაროდ, თავისუფალი დრო ძალიან ცოტა მაქვს, მაგისტრატურის დამამთავრებელ კურსზე ვარ და სადიპლომო ნაშრომზე ვმუშაობ. 2013 წელს მეგობრებმა ჩამოვაყალიბეთ სტუდენტური ორგანიზაცია

„ქართველ სტუდენტთა გაერთიანება ჩეხეთის რესპუბლიკაში“. მას შემდეგ თავისუფალი დროის ნაწილიც სხვადასხვა პროექტების მომზადებაზე მიდის. ამავდროულად, წელს, ჩემი საერთო საცხოვრებლის თვითმმართველობის თავჯდომარედ დავსახელდი და თავისუფალი დრო, ფაქტობრივად, აღარ მაქვს, მაგრამ როგორც კი გამოვნახავ ხოლმე დროს, მეგობრებთან ერთად, მივდივარ კინოში, გამოფენაზე ან ლაშქრობაზე.

– როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს? როგორ გესახება მომავალი, სად აპირებ დამკვიდრებას?

– ჩემი აზრით, ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იქნება, მაგრამ, დიპლომზე მეტად, საზღვარგარეთ მიღებულ გამოცდილებას მიექცევა ყურადღება, ვინაიდან ამას, მხოლოდ საქართველოში კი არა, ჩეხეთშიც დიდ ყურადღებას აქცევენ. ამიტომ ვცდილობ, თეორიასთან ერთად, პრაქტიკული გამოცდილებაც მივიღო, ამასვე ვურჩევ ყველა სტუდენტს. როდესაც თავისუფალ საგნებს ვირჩევ, ვცდილობ იყოს უფრო პრაქტიკული, ვიდრე თეორიული.

რაც შეეხება მომავლის გეგმებს, მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ, დოქტორანტურაზე ვაპირებ სწავლის გაგრძელებას. მსურს ძირ-ფესვიანად დავეუფლო ჩემს პროფესიას და ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი გავხდე. სწავლის დამთავრების შემდეგ, საქართველოში დავბრუნდები, მსურს მის წინსვლაში მეც შევიტანო წვლილი.

– რას ურჩევ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ.

– ვურჩევ, სანამ საზღვარგარეთ წავლენ, მანამდე ზუსტად იცოდნენ, რა მიზანი აქვთ, რისი მიღწევა სურთ. ამასთანავე, უნდა იყვნენ ფსიქოლოგიურად და გონებრივად მზად, თუ უცხოეთში სწავლა და ცხოვრება სურთ, ვინაიდან ეს სულაც არაა ისე ადვილი, როგორც შორიდან ჩანს. დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ მთავარია, ჰქონდეთ საკუთარი თავის რწმენა, რათა დასახულ მიზანს მიაღწიონ. საკუთარი გამოცდილებიდან შეიძლება ვურჩიო, თუ დაისახავენ მიზანს, ეჭვი არ შეეპარებათ საკუთარ შესაძლებლობებში, არ შეუშინდებიან დაბრკოლებებს, ექნებათ ბრძოლის უნარი მიზნის მისაღწევად, აუცილებლად მიიღებენ იმას, რაც სურთ. ადამიანისთვის ხომ დაუძლეველი არაფერია. მთავარია საკუთარ თავზე მუშაობა. იყავით მიზანსწრაფულები, აქტიურები, ნუ შეგაშინებთ შეცდომები, გქონდეთ საკუთარი თავის რწმენა, მოტივაცია და თქვენი სურვილი რეალობად იქცევა.

– დაბოლოს, როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, ალბათ მეტს და ღრმად ფიქრობს სამშობლოზე. მონატრებაც დიდია... საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი, ადამიანი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს, შენი აზრით, რა არის ის, რაც ევროპამ მოგცა, ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული?

– პირველ რიგში, ძალიან მენატრება ოჯახი, მეგობრები, ქართული სამზარეულო და ამიტომ, როგორც კი არდადეგები მეწყება, დაუყოვნებლივ ვბრუნდები ხოლმე საქართველოში. როდესაც საკუთარი ქვეყნიდან შორს იმყოფები, რა თქმა უნდა, უფრო მეტად ფიქრობ სამშობლოზე. ჩემი აზრით, უფრო ობიექტურადაც აფასებ მოვლენებს. საჭიროა ვისწავლოთ ერთმანეთის მოსმენა, განსხვავებული აზრის პატივისცემა. ნუ შეგვეშინდება საკუთარი აზრის გამოთქმის, ვიყოთ განათლებულები, რათა არ მოვექცეთ ბრბოს ზეგავლენის ქვეშ. ნუ დავივიწყებთ ღირებულებებს, ტრადიციებს. ვიფიქროთ არა იმაზე, თუ რას გვაძლევს სამშობლო, არამედ თავად რას ვაძლევეთ მას. როცა ამ ყველაფერს ვისწავლით, ჩამოვყალიბდებით დამოუკიდებელ ერად და შევქმნით ღირსეულ დემოკრატიულ ქვეყანას. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია დავიწყოთ ფიქრი ევროპაზე. ევროპაში ვისწავლე დამოუკიდებელი ცხოვრება, სხვაგვარი აზროვნება, განსხვავებული კულტურის, მენტალიტეტისა და რელიგიის ადამიანებთან ურთიერთობა მიწევს, შევიძინე მოვლენების ობიექტურად შეფასების უნარი და, რაც მთავარია, ვისწავლე დროის ფასი.

ესაუბრა **მაკა ყიფიანი**

მშობელთა კრება

ბავშვი დაიკარგა

ერთხელ მაინც, ალბათ, ყველა მშობელს უგრძნია შიში ბავშვის დაკარგვის გამო. როგორ მოვამზადოთ პატარა ასეთი სიტუაციისთვის?

ბავშვი რამდენიმე წუთით ძრება დედის თვალთახედვის არიდან. ადვილი წარმოსადგენია, რა განცდა ეუფლება ამ დროს დედას... ასეთი რამ მოსალოდნელია სეირნობის ან საყიდლებზე სიარულის დროს, როცა ბევრ ხალხში შეიძლება წამიერად მოადუნო ყურადღება და ბავშვი დაიკარგოს.

მეცნიერება ამტკიცებს, რომ პერიფერიული მხედველობა ძალებს მამაკაცებზე გაცილებით უკეთ აქვთ განვითარებული – სწორედ იმისთვის, რომ შვილები თვალთახედვის არიდან არ დაკარგონ. როგორც კი ბავშვი მეტ-ნაკლებად გასაგებად იწყებს სიტყვების გამოთქმას, მზრუნველი დედამამა ცდილობს, მაშინვე ასწავლოს მას თავისი სახელისა და გვარის, ასევე მისამართის წარმოთქმა. დაეხმარება თუ არა ეს პატარას, თუ ის ნამდვილად დაიკარგა?

ყველაზე მარტივი წესები

ბავშვს ნამდვილად უნდა ვასწავლოთ თავისი სახელი, გვარი და ზუსტი მისამართი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი არ უნდა გვქონდეს იმედი, რომ დაკარგული პატარა თავისთავად მოიძებნება. გახსოვდეთ: თვალთახედვის არიდან დედის გაქრობა ისეთივე სტრესია ბავშვისთვის, როგორიც თქვენთვის – მისი დაკარგვა. ამ დროს ბევრი ბავშვი ვერ ახერხებს ელემენტარულ კითხვებზე პასუხის გაცემას, საკუთარ სახელსაც კი ვერ ამბობს. ზოგჯერ სტრესი იმდენად ძლიერია, რომ ბავშვი ისტერიკაში ან შოკში ვარდება. ამრიგად, თუ ხალხმრავალ ადგილას ბავშვთან ერთად აპირებთ წასვლას, ჯობს, ჯიბეში პატარა ბარათი ჩაუდოთ, რომელზეც ეწერება მისი სახელი, გვარი, ზუსტი მისამართი და საკონტაქტო ტელეფონი. ბოლო ხანს ბევრი ცნობილი ფირმა უშვებს ზედა ტანსაცმელს მსგავსი ინფორმაციისთვის განკუთვნილი სპეციალური საჭდეებით, თუმცა ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ ისეთ ხალხმრავალ ადგილებში, როგორებიცაა სუპერმარკეტი, ჰიპერმარკეტი, სავაჭრო ცენტრი, ჰაერი ხშირად ჩახუთულია და ზედა ტანსაცმელს, წესისამებრ, იხდიან. სამი-ოთხი წლის ბავშვს უკვე უნდა ესაუბროთ იმის შესახებ, როგორ მოიქცეს, თუ დაიკარგა. აუხსენით, რომ თუ გვერდით დედა ან მამა ვეღარ დაინახა, გაჩერდეს, დაიცადოს, სანამ მშობლები არ იპოვიან, დამოუკიდებლად არ დაიწყოს მათი ძებნა, არ ავიდეს ან ჩავიდეს სხვა სართულზე, არ დაიმალოს ისეთ ადგილას, სადაც მისი პოვნა ძნელი იქნება – შეშინებული ბავშვები ზოგჯერ მოფარებულ კუნჭულებში იმალებიან. თუ დედა და მამა არ ჩანან, პატარამ დახმარება სხვა უფროსებს უნდა სთხოვოს. უფროსები სხვადასხვანაირები არიან, ამიტომ გააფრთხილეთ ბავშვი, რომ, პირველ რიგში, მიმართოს პოლიციელს ან იმ დაწესებულების თანამშრომლებს, სადაც იმყოფება – ინსტრუქცია მათ უფლებას აძლევს, ხმამაღლამოლაპარაკის მეშვეობით გამოაცხადონ ინფორმაცია დაკარგული ბავშვის შესახებ და არ დატოვონ უმეთვალყურეოდ, სანამ მშობლები არ მიაკითხავენ. 5 წლიდან ბავშვს უნდა მოვუნიშნოთ ორიენტირები. მაგალითად, ასე: „თუ შემთხვევით დაიკარგე, შადრევანთან (ძეგლთან და ა.შ.) დაგელოდები“. მთავარია, ეს ადგილი ადვილი საპოვნელი იყოს.

თუ ავტობუსმა გაგასწროთ

ცალკე სასაუბრო თემაა, როგორ უნდა მოიქცეს ბავშვი საზოგადოებრივ ტრანსპორტში. გააფრთხილეთ, რომ თუ შემთხვევით ვერ მოასწრო ავტობუსში ასვლა ან მეტროს ვაგონში შესვლა, მომდევნოს კი არ გაჰყვეს, არამედ დაიცადოს, სანამ თქვენ არ დაბრუნდებით მასთან. აუხსენით, რომ შემდეგ გაჩერებამდე ან მეტროს სადგურამდე მისასვლელად და უკან დასაბრუნებლად გარკვეული დრო დაგჭირდებათ, ამიტომ მას 10-15 წუთი მოუწევს ლოდინი, თორემ ბავშვი შესაძლოა ორიოდე წუთი გელოდოთ, გადაწყვიტოს, რომ დედა აღარ დაბრუნდება და თვითონ წამოვიდეს თქვენს საძებნელად. თუ ბავშვმა საჭირო სადგურზე ჩამოსვლა ვერ მოასწრო, გააფრთხილეთ, რომ ჩამოვიდეს მომდევნოზე და იქ დაგელოდოთ და არამც და არამც არ დაბრუნდეს უკან დამოუკიდებლად. ასეთ საუბარს დიდი ხნით ნუ გადადებთ. რაც უფრო ადრე ეცოდინება ბავშვს, როგორ მოიქცეს დაკარგვის შემთხვევაში, მით უკეთესი. წვრილმან დეტალებამდე შეთანხმებული ინსტრუქცია პატარას დაეხმარება, რთულ სიტუაციაში არ დაიბნეს და მის პოვნას გაგიადვილებთ. რაც მთავარია, თავად ბავშვიც გადაურჩება სტრესს.

ნანა კალანდაძე

პატარა ხელებით

დიდი ხანია ცნობილია, რომ ბავშვის ხელები მჭიდრო კავშირშია მის მეტყველებასა და აზროვნებასთან. წვრილი მოტორიკის განვითარების დონე სასკოლო განათლებისთვის ინტელექტუალური მზადყოფნის ერთ-ერთი მაჩვენებელია. ბავშვს, რომელსაც წვრილი მოტორიკა კარგად აქვს განვითარებული, სათანადოდ აქვს განვითარებული ლოგიკური მსჯელობის უნარი, მეხსიერება, ყურადღება და მეტყველებაც.

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პირველკლასელებს ხშირად უჭირთ წერის ჩვევის გამომუშავება. წერა რთული ჩვევაა, რომელიც ხელის ნატიფ კოორდინირებულ მოძრაობებს მოიცავს. წერისთვის საჭიროა მტევნის წვრილი კუნთებისა და მთელი ხელის შეთანხმებული მუშაობა, აგრეთვე კარგად განვითარებული მხედველობითი აღქმა და ნებელობითი ყურადღება. წერის ჩვევის დაუფლება მოითხოვს თავის ტვინის ქერქის განსაზღვრულ ფუნქციურ სიმწიფეს. წერისთვის მოუმზადებლობა, წვრილი მოტორიკის, მხედველობითი აღქმის, ყურადღების არასათანადო განვითარება შესაძლოა სწავლისადმი ნეგატიური დამოკიდებულების, შფოთვის მიზეზად იქცეს. ამიტომაც აუცილებელია, ბავშვს სკოლამდელ ასაკში განვუვითაროთ მექანიზმები, რომლებიც აუცილებელია წერის სასწავლად, შევუქმნათ პირობები მოძრაობისა და პრაქტიკული გამოცდილების დასაგროვებლად. სკოლამდელ ასაკში საჭიროა სწორედ წერისთვის მომზადება და არა მისი სწავლა, რასაც ხშირად წერის არასწორი ტექნიკის ჩამოყალიბებამდე მივყავართ. საგნებით ნატიფი მოქმედებების შესრულების უნარი უფროს სკოლამდელ ასაკში ყალიბდება, ხოლო 6-7 წლისთვის, ძირითადად, სრულდება თავის ტვინის შესაბამისი ზონების მომწიფება და მტევნის წვრილი კუნთების განვითარება, ამიტომ მუშაობა წვრილი მოტორიკის განსავითარებლად სკოლაში შესვლამდე გაცილებით ადრე უნდა დაიწყოს. მშობლები და პედაგოგები, რომლებიც სათანადო დროს უთმობენ ვარჯიშს, თამაშს, წვრილი მოტორიკის განვითარებისთვის განკუთვნილ დავალებებს, ერთდროულად ორ კურდღელს იჭერენ – ირიბად უწყობენ ხელს ბავშვის ზოგად ინტელექტუალურ განვითარებას და, ამავე დროს, ამზადებენ მას წერის ჩვევის ასათვისებლად, რაც მომავალში სასკოლო განათლების მრავალ პრობლემას აგვაცილებს თავიდან. მშობლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ბავშვს, თუ ის ხატვის ან გაფერადების დროს ხელს კი არ ამოძრავებს, არამედ ფურცელს ატრიალებს. ამ შემთხვევაში ბავშვი თავს არიდებს ხელის ნატიფ მოძრაობას და მას ფურცლის მოძრაობით ცვლის. თუ ბავშვი მეტისმეტად პატარა საგნებს ხატავს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ხატვისას მისი მტევანი ფიქსირებულია, ძალზე მცირე ამპლიტუდით მოძრაობს. აღნიშნულ დეფექტს გამოვავლენთ, თუ მას ვთხოვთ, ხელის ერთი მოძრაობით ჩვენ მიერ მიცემული ნიმუშის მსგავსი 3-4 სმ დიამეტრის წრე შემოხაზოს. თუ ბავშვს აქვს მიდრეკილება სიბრტყეზე მტევნის ფიქსაციისკენ, ის ამოცანას ვერ შეასრულებს და წრის ნაცვლად ოვალს შემოხაზავს, რომლის გარშემოწერილობა მითითებულზე მცირე იქნება ან ხაზვისას ხელის რამდენიმე მოძრაობას შეასრულებს. წვრილი მოტორიკის განსავითარებლად მუშაობა ადრეული ასაკიდანვე უნდა დავიწყოთ. ჩვილ ასაკში შეიძლება ხშირად ნაზად შევეხოთ ბავშვის მტევანს, თითებს, ადრეულ და უმცროს სასკოლო ასაკში ხშირად ვათამაშოთ და ვუკითხოთ ლექსები ხელის გამოყენებით. არ უნდა დაგვავიწყდეს თვითმმართველობის ელემენტარული ჩვევების ათვისება – ღილის, თასმების შეკვრა და გახსნა და ა.შ. უფროს სასკოლო ასაკში კი წვრილი მოტორიკისა და ხელის მოძრაობათა კოორდინაციის განვითარება სკოლისთვის მზადების აუცილებელი ნაწილია. საგნების აღქმის უნარი ბავშვებთან მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ხელების განვითარებაზე. ერთი შეხედვით, რა უნდა იყოს ნივთის აღებაზე ადვილი, მაგრამ, რა უმნიშვნელოც არ უნდა მოეჩვენოს ეს მოზრდილ ადამიანს, სიცოცხლის პირველ თვეებში, როცა ბავშვს ჯერ კიდევ არ აქვს ჩამოყალიბებული კოორდინირებული, მიზანმიმართული მოძრაობები, ამის გაკეთება მისთვის საკმაოდ რთულია. ამ ასაკში მოძრაობას, მათ შორის ხელების მოძრაობასაც, უპირობო რეფლექსის ხასიათი აქვს – აღმოცენდება მიზანმიმართული ნებელობითი ქმედებების გარეშე, წინასწარ განზრახული არ არის. მიზანმიმართული ქმედებები ზრდისა და სწავლის პროცესში ყალიბდება. მრავალ მეცნიერს მიაჩნია, რომ თავის ტვინის მარცხენა ჰემისფეროში მეტყველების ცენტრის განვითარება განპირობებულია შრომითი საქმიანობისას ხელის წამყვანი თავის ტვინის მარცხენა ჰემისფეროში მეტყველების ცენტრის განვითარება განპირობებულია შრომითი საქმიანობისას ხელის წამყვანი როლით. შემთხვევითი როდია, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ხელის როლი ასეა ხაზგასმული.

მარიკა დვალი

სასკოლო აქტივობა

„ახალი ლიცეუმის“ საქველმოქმედო კონცერტი

შპს „ ახალი ლიცეუმი“ ტრადიციების მატარებელი კერძო სკოლაა, რომელმაც 2014 წლის ივნისში არსებობის 20 წლის იუბილე აღნიშნა. დაარსების დღიდან მას სათავეში უდგანან: დამფუძნებელი **რამაზ მღებრიშვილი** და დირექტორი **ნანა ქუთათელაძე**.

ლიცეუმი ორიენტირებულია, აღზარდოს ეროვნული და საერთაშორისო ღირებულების მატარებელი ინტელექტუალური, თავისუფლად მოაზროვნე, მაღალი კულტურის მქონე და კონკურენტუნარიანი ახალგაზრდობა. ყოველივე ზემოთ თქმულის სისრულეში მოყვანისათვის აუცილებელია სასწავლო და აღმზრდელობითი პროცესის შერწყმა, რომელიც დაწყებითი კლასებიდან იწყება და დამამთავრებელ კლასებში ფორმირდება.

28 თებერვალს „თბილისი მოლში“, ლიცეუმის მოსწავლეთა მონაწილეობით, ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი, რომელსაც ორგანიზება გაუწიეს ლიცეუმის სასწავლო პროცესის კოორდინატორმა **მაია მესხმა** და დაწყებითი კლასის პედაგოგმა **ეკატერინე გაბელიამ**. მოსწავლეებმა საგუნდო და სოლო ნომრები შეასრულეს მიუზიკლიდან „ოლივერ ტვისტი“, მათ ჩაცმულობაზე მაღაზია „Angels face”-მა იზრუნა.

ქველი საქმე ჩუმად, უხმაუროდ უნდა აკეთოს კაცმა, თუმცა „კეთილისათვის ბაძვა, კეთილ არს მარადის“. დღეს ბევრი საქველმოქმედო ღონისძიება ტარდება სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად.

„ჩვენი კონცერტის მიზანიც მარტოხელა დედის, ელენე მარტიროსიანის დახმარება გახლდათ – შემოსული თანხა ოჯახს გადაეცა. სიამაყით აღვნიშნავთ, რომ მსგავს აქციებში ჩვენი აღსაზრდელები ხშირად მონაწილეობენ. ვფიქრობ, მოზარდების ჩართულობა საქველმოქმედო ღონისძიებებში, უპირველეს ყოვლისა, მათ ზნეობრივ სრულყოფას უწყობს ხელს. ისინი ადრეული ასაკიდან სწავლობენ თანატოლების სიყვარულს, ერთმანეთის თანადგომას, თანალმობას.

კარგად ვიცით, ერთჯერადი ღონისძიებები საკმარისი არაა გაჭირვებული ოჯახების ფეხზე დასაყენებლად, ისიც ვიცით, „ძალა რომ ერთობაშია“, ამიტომ მოვუწოდებთ სკოლებს, თბილისის მასშტაბით, დავაარსოთ საქველმოქმედო ფონდი და სისტემატურად დავეხმაროთ მარტოხელა დედებს“ – აღნიშნა ქალბატონმა **ნანა ქუთათელაძემ**.

ნატა ასიტაშვილი
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ქართული როგორც მეორე ენა

არაქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების სპეციფიკაზე

მარნეულის მუნიციპალიტეტის კაპანახჩის საკრებულოში შემავალი შვიდი სოფლის შვიდი სკოლა (ალგეთი, ამბაროვკა, ქეშალო, ილმაზლო, კაპანახჩი, ქესალო, ქესალო) საზღვრისპირა სოფლებშია, მოსახლეობა – აზერბაიჯანულენოვანი. ჩვენი სკოლა – კაპანახჩის საჯარო – ტიპიური საჯარო სკოლაა, სადაც განათლებას იღებენ ამავე სოფლის მოსწავლეები. ჩვენს სკოლაში სხვადასხვა სახის პროექტები განხორციელებულა, გამოვარჩევდი პროექტს „გზა სამოქალაქო ინტეგრაციისაკენ“. ამ პროექტის ფარგლებში, დამეგობრებულები ვართ ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის საჯარო სკოლასთან. ჩვენი ურთიერთობა დღესაც გრძელდება.

ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები სწავლობენ თბილისის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ამ ახალგაზრდებს დიდი სურვილი აქვთ, მიღებული ცოდნა თავიანთ სამშობლოს – საქართველოს მოახმარონ, რაშიც ჩვენი, ქართული ენის პედაგოგების, დახმარებას მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ კი მოვალეობის შესასრულებლად კარგი სახელმძღვანელო გვჭირდება.

სახელმძღვანელოები, რომლებიც რეგიონის სკოლებშია შემოტანილი (ქართული ენა არაქართული სკოლებისათვის. მაია მელიქიძე, ნინო გორდელაძე. 2011. მასწავლებელთა პრფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი), ამ პირობას ვერ აკმაყოფილებს. შეიძლება ის დამხმარედ გამოვიყენოთ, პრაქტიკული სამუშაოებისთვის, სწავლებისთვის (სახლში სამეცადინოდ) მოსწავლე ვერ გამოიყენებს. არ არის დაცული ენის სწავლების თანმიმდევრობა, მოსწავლის რვეულში მოცემული პირობის გაგება უფრო რთულია, ვიდრე თვითონ სამუშაო მაგალითები. არასასურველი ტექსტებია, ძირითადად, გამოყენებულია ტექნიკური ენა. ამ წიგნებით ვერ ვასწავლით ქართველ მწერლებს, ისინი ძალიან მცირე დოზითაა მოცემული. არადა, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეები, ჩვენი მოსწავლეები აუცილებლად უნდა იცნობდნენ ქართველ მწერალთა შემოქმედებას, მათ როლს ქვეყნის ისტორიაში.

ჩვენ კარგად ვიცით, ქართული ენის სწავლებას თავისი სპეციფიკა აქვს და არ უნდა მოვახვიოთ თავს პედაგოგს ის მეთოდები, რომელიც სხვა ენის სწავლებისათვისაა დამახასიათებელი. სასურველია, ქართული ენის სახელმძღვანელო შედგენილი იყოს ქართული ენის სპეციალისტის მიერ, რომელმაც ამ ენის სწავლების მეთოდები იცის.

ლალი პაპასკირი
ქართული ენის მასწავლებელი

შემოქმედებითი საღამო სკოლაში

24 თებერვალი...

სასიამოვნო მღელვარებას მოუცავს 106-ე საჯარო სკოლა. ლიტერატურული კლუბის წევრებმა შემოქმედებითი საღამო მოამზადეს და ახლა სასურველ სტუმრებს ელოდებიან... სულ ცოტა ხნის წინ მათ გამოსცეს ჟურნალ „ბუხარის“ ახალი ნომერი, რომელშიც საინტერესო მასალაა მოთავსებული. ამჟამად ლიტერატურული კლუბის წევრებს, სტუმრებთან ერთად, პოეზიის საოცარ სამყაროში მოგზაურობა სურთ.

დარბაზიც ნელ-ნელა ივსება ხალხით და, ვიდრე შემოქმედებითი საღამო დაიწყება, ლიტერატურული კლუბის მიზანსაც გავეცნოთ. მთავარია: შემოქმედებითი ნიჭის განვითარების ხელშეწყობა, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, სწორი მეტყველების, კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების დაუფლება, ცოდნის თვალსაწიერის გაფართოება და ურთიერთთანამშრომლობა.

დარბაზში უკვე ყველამ მოიყარა თავი. ლიტერატურული კლუბის ხელმძღვანელის, **ლია ზურაბიშვილის** სიტყვით გამოსვლის შემდეგ ბურთი და მოედანი მოსწავლეებს დარჩათ...

ამაღლებულ განწყობას ქმნის გარემო პირობები: მაგიდაზე წითელი ვარდი და ირგვლივ ვარსკვლავებივით მოციმციმე სანთლები.შემოქმედებით საღამოს უძღვებიან პატარა „შოუმენები“: **ვაჟა ლუტიძე** და **მარიამ ჩიქოვანი**, **სალომე ხუჯაძე** და **გვანცა ჩხეტიანი**.

სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებიან და საკუთარ შემოქმედებას აცნობენ დამსწრე საზოგადოებას: **მარიამ ცუხიშვილი** (VIII კლ.), **ანა კუტუბიძე** (VII კლ.), **ვალერიან სოზაშვილი** (VII კლ.), **სალომე ხმალაძე** (VII კლ.), **ელენე ენდელაძე** (VII კლ.), **გუგა ცუხიშვილი** (VII კლ), **ნუნუ ნოზაძე** (X კლ.). გულშიჩამწვდომი და დაუვიწყარი აღმოჩნდა მათი ლექსები: „გაზაფხული“, „უკვე ჩამოკრა ზარმა“, „მე დავხატავდი“, „შავი მარგალიტი“, „მზე და ღრუბელი“, „მდინარის პირას“, „ისევ“ და მრავალი სხვა.

ოთახში გიტარის ჰანგები იფრქვევა. სკოლის „ვირტუოზმა მუსიკოსებმა“ – **ვახტანგ ქავთარაძემ** და **ლუკა მჭედლიშვილმა** – ყველაფერი გააკეთეს შთაბეჭდილების მოსახდენად. **სალომე ხუჯაძემ** თავისი სიმღერებით აღაფრთოვანა დამსწრე საზოგადოება და მხურვალე ტაშიც დაიმსახურა.

დარბაზის ყურადღება მიიპყრო მინი-სპექტაკლმაც, რომელიც წარმოადგინეს მომავალმა მსახიობებმა: **გიორგი საბანაძემ**, **ლუკა სირაძემ**, **ვაჟა ლუტიძემ** და **ლუკა ლომიძემ**.

საინტერესო იყო შემოქმედებითი საღამოს დასასრული. ლიტერატურული კლუბის წევრებმა ლექსი მიუძღვნეს თავიანთ სკოლას და მადლობა გადაუხადეს დირექტორს, ბატონ **თენგიზ გულორდავას**, სასწავლო ნაწილს, ქალბატონ **ნაზი სეთურიძეს** და ყველა პედაგოგს სიყვარულისა და ზრუნვისათვის.

საღამომ შედეგს მიაღწია. მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოებას საკუთარი შემოქმედება წარუდგინეს და მოწონებაც დაიმსახურეს, აგრეთვე მიწვევა სხვადასხვა სკოლებსა და მწერალთა კავშირში. ეს, რა თქმა უნდა, მოტივაციის ამაღლების მნიშვნელოვანი საშუალებაა და მერწმუნეთ, მოსწავლეებიც ძალ-ღონეს არ დაიშურებენ კარგად სწავლისათვის.

ლია ზურაბიშვილი
106-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

 პედაგოგთა დასახმარებლად

სოფიო დედალამაზიშვილი

გერმანული ენა

გაკვეთილის ორგანიზების ფორმები

დასასრული

წყვილებში მუშაობაც კლასის ორგანიზების ფორმაა, რომლის დროსაც მოსწავლეები ერთობლივად ასრულებენ მოცემულ დავალებას. წყვილებში მუშაობა ბევრ მეთოდთან და სოციალურ ფორმასთან კომბინაციის საშუალებას იძლევა. თუ გვერდით მჯდომები ერთად მუშაობენ, კლასში ამ ფორმის ორგანიზებისთვის დიდი დრო არაა საჭირო, არც მერხების და არც მაგიდების გადაადგილებაა აუცილებელი. აქაც მნიშვნელოვანია მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბებული დავალების მიცემა, რათა წყვილებში გაუგებრობა არ მოხდეს. წყვილებში მუშაობას წინ უძღვის ინდივიდუალური მუშაობის ფორმა, დავალების გააზრების მიზნით, რასაც შემდეგ ერთმანეთში აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოსდევს. საბოლოოდ, წყვილები პლენუმზე წარმოადგენენ შედეგებს. წყვილების შედგენა შემთხვევითობის პრინციპითაცაა შესაძლებელი, მაგალითად, დანომრილი ბარათების ან სხვადასხვა სიმბოლოების მეშვეობით, მაგრამ ეს ისე უნდა მოხდეს, რომ არავინ დარჩეს წყვილის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა ამის საშუალებას არ იძლევა, შესაძლებელია ერთი ჯგუფი 3 ბავშვისგან შედგეს. მოსწავლეებს უშედეგოდ მუშაობის განცდა რომ არ გაუჩნდეთ, ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ რაც შეიძლება მეტმა წარმოადგინოს დავალება.

• წყვილებში მუშაობა მნიშვნელოვანი მოსამზადებელი პროცესია ჯგუფური მუშაობის უნარის განვითარებისათვის. ვიდრე მოსწავლეებს ჯგუფურ მუშაობას შესთავაზებთ, ინდივიდუალური და წყვილებში მუშაობის პრინციპები გაიაანით;

• ფსიქოლოგების გადმოსახედიდან, წყვილებში მუშაობა განსაკუთრებით შედეგიანია, როდესაც პროცესში ინდივიდუალური მუშაობის ფაზაცაა ჩართული, რადგან ინდივიდუალურ სწავლას უშუალოდ მოსდევს ნასწავლის გამოყენება. წყვილები ერთმანეთს ესაუბრებიან და კომუნიკაციის პროცესში განსაკუთრებით ინტენსიურად სწავლობენ;

• როდესაც მოსწავლე მეწყვილეს დავალების გადაჭრის გზას სთავაზობს, რომელიც მანამდე დაამუშავა, თვითონვე ხვდება, რა გამოსდის კარგად და რა – ვერ გამოსდის. ყველაფერი ეს მოსწავლეს საკუთარი სწავლის პროცესის გაანალიზების საშუალებას აძლევს;

• წყვილებში მუშაობისას მოსწავლეები თავისუფალი არიან პირდაპირი კონტროლისგან და უფრო მშვიდად გრძნობენ თავს. ამგვარად, წყვილებში მუშაობა მორცხვ და სუსტ მოსწავლეებსაც სასწავლო პროცესში ინტეგრაციის შანსებს უზრდის;

• წყვილებში მუშაობისას კონცენტრაცია უფრო მეტია, ვიდრე – ჯგუფებში. სასიამოვნოა ისეთ მეწყვილესთან მუშაობა, რომელსაც კარგად უგებ. კიდევ ერთი პოზიტივი, რაც ამ ფორმას ახლავს, ისაა, რომ დამეგობრებას უწყობს ხელს;

• მასწავლებლების შეხედულებით, ისიც მნიშვნელოვანი არგუმენტია, რომ წყვილებში მუშაობის მომზადებას დიდი დრო არ სჭირდება;

წყვილებში მუშაობის გამოყენება ძალიან ბევრ სიტუაციაში შეიძლება. მაგალითად, შესაძლებელია უცხოური ენის გაკვეთილზე დიალოგების მომზადება ან კიდევ როგორც ტექსტის, ასევე სურათის აღწერისას ერთმანეთისათვის კარნახი. ზოგადად, წყვილებში მუშაობა გამოიყენება:

• ინდივიდუალური მუშაობის შედეგების გასაზიარებლად;

• რთული დავალებების შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ ცალკეული მოსწავლეები ვერ დაძლევენ ამ დავალებებს;

• დახმარების სისტემის ჩამოსაყალიბებლად – ძლიერი ეხმარება სუსტს.

შეიძლება იყოს პრობლემა – მოსწავლეებს არ სურდეთ ერთად მუშაობა. მასწავლებელი არ უნდა დაელოდოს ვითარების გამწვავებას, უნდა აუხსნას, რომ ერთმანეთთან მუშაობის უნარი უნდა გამოიმუშაონ, რადგან შემდგომში, სამსახურში, ისინი თანამშრომლებს საკუთარი სურვილის მიხედვით ვერ აირჩევენ. თუ აღნიშნული პრობლემა მაინც დადგა, დასაშვებია ერთი გამონაკლისის გაკეთება. სხვა შემთხვევაში, დაწყვილებასთან დაკავშირებით, დიდი დისკუსიის გამართვა სასურველი არაა. იმისათვის, რომ ვითარება დარეგულირდეს, საჭიროა კლასში წინასწარი წესების შემუშავება.

ჯგუფური მუშაობის დროს სამ-ხუთკაციანი ჯგუფები დავალებებს დამოუკიდებლად და კოოპერატიულად ამუშავებენ. ჯგუფური მუშაობა განსაკუთრებით ავითარებს სოციალურ უნარებს და საგნობრივი ცოდნის გაღრმავებას უწყობს ხელს. სამუშაოს შედეგები ისეა მომზადებული, რომ მუშაობის პროცესის დასრულების შემდეგ, მისი პრეზენტირება მთელი კლასის წინაშე ხდება. ჯგუფური მუშაობა იგეგმება მასწავლებლის მიერ, მაგრამ მოსწავლეებს იმის საშუალებას აძლევს, რომ თავად შეძლონ ინდივიდუალური შტრიხების შეტანა დავალებების მოგვარებისას. ჯგუფების მუშაობისას მასწავლებელი უკანა პლანზე გადადის და თვალყურის დევნებით, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებით და მუშაობის პროცესის შეფასებით შემოიფარგლება. ძირითადად, არსებობს ჯგუფში თანაბრად ან არათანაბრად გადანაწილებული სამუშაო პროცესი, რომელიც კარგად უნდა იყოს საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირებული. თავიდან, ფრონტალური გაკვეთილის ფაზაზე, მასწავლებელი ჯგუფური მუშაობის წესებსა და დავალებას ხსნის როგორც საგნობრივი, ასევე მეთოდური კუთხით. საგნობრივ ასპექტში მოიაზრება ის, რომ კლასთან წინასწარ დამუშავდეს მსგავსი ტიპის სამუშაო პროცესი, ვიდრე მოსწავლეები დამოუკიდებელ მუშაობას შეუდგებიან. მეთოდურად უნდა განვუმარტოთ, მაგალითად, როგორ დაანაწევრონ და დაამუშაონ რთული დარგობრივი ტექსტი.

მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ ჯგუფური მუშაობის კონკრეტული მიზანი, თუ რა დავალება აკისრიათ მათ. გრძელი ახსნა-განმარტებები საჭირო არაა, რადგან ამას დემოტივაციის გამოწვევა შეუძლია. თვალსაჩინოებისათვის და ზედმეტი კითხვების თავიდან ასარიდებლად, შესაძლებელია, ბარათების მიცემა, სადაც დავალების პირობა მოკლედაა ჩამოყალიბებული. მნიშვნელოვანია ჯგუფებისთვის მაქსიმალურად ნათელი დავალებების მიცემა, თორემ, გაუგებრობის შემთხვევაში, სამუშაო პროცესი შეიძლება ჩაიშალოს. ზოგადად, სამი დავალება საკმარისია – ერთი მიუთითებს, თუ რა უნდა გაკეთდეს; მეორე – როგორ უნდა იმუშაოს ჯგუფმა; მესამე – რა უნდა წარმოადგინონ მოსწავლეებმა მუშაობის დასრულების შემდეგ.

აქაც, როგორც ზემოთ ნახსენები კლასის ორგანიზების ფორმების დროს, ინდივიდუალური, შესაბამისად, „ჩუმი მუშაობის“ ფაზები უნდა იყოს ჩართული, მაგალითად, თუ ჯერ წაიკითხავთ ტექსტს, რომელიც შემდეგ ჯგუფში უნდა განიხილონ, შედეგი ბევრად უკეთესი იქნება. მოსწავლეს, რომელსაც უკვე ნაფიქრი აქვს მოცემულ საკითხზე, დავალების შესრულების ბევრად უკეთესი გზების შემოთავაზება შეუძლია.

ჯგუფური მუშაობისას მაქსიმალურად კარგად უნდა განისაზღვროს დრო, რადგან მცირე დროის შემთხვევაში, მოსწავლეებს დავალების ხარისხიანად მომზადების და პრეზენტაციის საშუალება არ ეძლევათ. დრო, შეიძლება, ასე გავთვალოთ: სამკაციანმა ჯგუფებმა, მინიმუმ, ცხრა წუთი მაინც უნდა მიიღონ, ოთხკაციანმა – თექვსმეტი და ხუთკაციანმა – ოცდახუთი. ზოგადად, ძალიან რთულია ერთ გაკვეთილზე ჯგუფური მუშაობის და შემდგომ პრეზენტაციის მოსწრება. თუ დაწყვილებული გაკვეთილი არაა, მაშინ შესაძლებელია, ჯგუფის თითოეულმა წევრმა, საკუთარი ნაწილი სახლში დაამუშაოს და პრეზენტაციისთვის მოამზადოს, რომ ყველა ჯგუფის ნამუშევარი შეფასდეს.

ხშირად ძნელია ჯგუფში მუშაობის დასრულება და პრეზენტაციისთვის მზადება. ამ შემთხვევაში, კარგია დროის ლიმიტის შეხსენება და გამოცხადება – რამდენი დრო დარჩათ. პრეზენტაციის დროს ყველა ისეთ პოზიციაში უნდა იყოს, რომ კარგად მოისმინონ და დაინახონ. თუ ვამჩნევთ, რომ რომელიმე ჯგუფი, პრეზენტაციის დროსაც, მუშაობითაა დაკავებული, შეგვიძლია მასალების ჩამორთმევა, რათა ყურადღება არ გაეფანტოთ.

მაგალითისათვის მინდა შემოგთავაზოთ ჯგუფური მუშაობის ნაბიჯები, რომლებიც წინასწარ უნდა დამუშავდეს კლასთან ერთად:

1. ვალაგებთ მაგიდებს ჯგუფებისათვის:
• ჩუმად;
• სწრაფად;
• მუშაობისთვის მოხერხებულად.

2. ინდივიდუალურად ვემზადებით ჯგუფური მუშაობისთვის:
• მოწესრიგებულად ვალაგებთ სამუშაო მასალას;
• ყურადღებით ვისმენთ, როცა ლაპარაკია იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს;
• ვკითხულობთ მასალას.

3. ვგეგმავთ ჩვენს სამუშაოს:
• ერთად ვჯდებით მაგიდასთან;
• მაშინვე ვიწყებთ მუშაობას;
• ვაზუსტებთ, გავიგეთ თუ არა დავალების პირობა;
• ვანაწილებთ დავალებებს;
• ვადგენთ დროის გეგმას.

4. ვათანხმებთ ჯგუფის წესებს:
• თითოეული იღებს დავალებას;
• არავინ რჩება უფუნქციოდ;
• ყველა ინიშნავს დავალების შედეგს;
• ყველა უსმენს ერთმანეთს;
• არავინ აწყვეტინებს სიტყვას ერთმანეთს.

5. ერთობლივად ვამუშავებთ ჩვენს თემას:
• ინტენსიურად ვკავდებით სამუშაო მასალებით;
• ვუზიარებთ ერთმანეთს მნიშვნელოვან ინფორმაციას;
• ვაჯერებთ ჩვენი მუშაობის შედეგს;
• ვაყალიბებთ, რისი გაგება სურთ დანარჩენ ჯგუფებს ჩვენი თემის ირგვლივ.

6. ვამზადებთ პრეზენტაციას:
• ვაყალიბებთ, რისი პრეზენტირება გვსურს;
• ვანაწილებთ პრეზენტაციის დავალებებს ჯგუფში;
• ვამზადებთ ვიზუალურ მასალას;
• ვჯერდებით ჩვენი ჯგუფის პრეზენტაციის ფორმატზე.

მოსწავლეთა პრეზენტაციები. პრეზენტაცია ლოგიკური თანმიმდევრობის მქონე, ვიზუალური მასალებით გამყარებული, სიტყვაა, პუბლიკის ინფორმირებისა და დარწმუნების მიზნით. გაკვეთილზე წარმოდგენილი პრეზენტაციები, ძირითადად, კლასის წინაშე წყვილებში ან ჯგუფებში მუშაობის შედეგების წარმოდგენაა. მოხსენებისა და რეფერატისგან განსხვავებით, პრეზენტაციები, ძირითადად, ჯგუფურად ხდება. მოსწავლეთა პრეზენტაციების მიზანია პრეზენტაციის ტექნიკის შესწავლა და მოსმენის კულტურის გამომუშავება.

სწავლა-სწავლების ამ ხუთი ძირითადი, სასწავლო პროცესის ორგანიზების, ფორმის ჭკვიანური კომბინაციით გაკვეთილი ბევრად უფრო ნაყოფიერი და მრავალფეროვანი ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა:
ვოლფგანგ მატესი, მეთოდები გაკვეთილისათვის. გამომცემლობა „Schöningh“

მისი სჯეროდათ და გამორჩეულად უყვარდათ

ძნელია ქალბატონ ნუნუზე წარსულ დროში ლაპარაკი. თუმცა, მასთან ერთად გატარებულმა ათეულმა წლებმა იმდენად დიდი კვალი დატოვა თითოეულ ჩვენგანში, რომ სათქმელი ძალიან ბევრია. მრავალმხრივი განათლებისა და პიროვნული მომხიბვლელობის წყალობით, განსაკუთრებით სასიკეთო გავლენას ახალგაზრდებზე ახდენდა. ამიტომაც სცემდნენ პატივს, სჯეროდათ მისი და გამორჩეულად უყვარდათ კიდეც ქართული ლიტერატურა.

1966 წლიდან იწყება **ნუნუ ბუაჩიძის** პედაგოგიური საქმიანობა, 1978 წელს კი როგორც საუკეთესო პედაგოგი, დაჯილდოვდა „სახალხო განათლების წარჩინებულის“ მედლით.

2014-2015 წლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას ხელმძღვანელობდა. გასაკვირი არაა, რომ ხანდახან მკაცრიც იყო ხოლმე. მის ამ თვისებას „კეთილ სიმკაცრეს“ ვეძახდით. თავისი პრინციპების ერთგული იყო და ვერ ეგუებოდა უპასუხისმგებლობას, თვალთმაქცობას, უვიცობას... თუმცა, არასოდეს კარგავდა წონასწორობას – შენიშვნებში თუ კრიტიკული აზრის გამოთქმისას ყოველთვის კორექტული იყო, არასოდეს ჭირდა მასთან საერთო ენის გამონახვა. ქალბატონ ნუნუსთან საუბარი (არამარტო ლიტერატურაზე) ბევრის მომცემი და საინტერესო იყო. ამიტომაც იქნება დაუვიწყარი მასთან გატარებული წლები კოლეგებისა და მოსწავლეებისათვის.

43-ე საჯარო სკოლის დირექცია,
პედაგოგიური კოლექტივი

სასკოლო აქტივობა

ინტეგრირებული გაკვეთილი „ომი და თანამედროვეობა“

სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და გზების დანერგვას ზოდის საჯარო სკოლამ (დირექტორი – **ნონა ყაველაშვილი**) დიდი ხანია აუბა მხარი, რასაც საფუძვლად, პედაგოგთა მაღალ კვალიფიკაციასთან ერთად, მათი კოლეგიალობა და სიახლისადმი მზაობა უდევს.

„ომი და თანამედროვეობა“ – ასეთი იყო ინტეგრირებული გაკვეთილის თემა, რომელიც ქართულის, ისტორიის და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა – **ირმა ბოჭორიშვილმა** და **მანანა ბოყოველმა** – დავგეგმეთ და ჩავატარეთ X კლასში. მათ ახლახან შეისწავლეს „ვეფხისტყაოსნიდან“ ხატაეთის ომი. ჩვენ კი, ომის თემა სხვადასხვა საგანთა კავშირით და შეძენილი ცოდნის საფუძველზე გავშალეთ.

გაკვეთილი კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით წარიმართა. მოსწავლეებმა იმსჯელეს ომის მიზეზებზე, მიმდინარეობასა და შედეგებზე; გააანალიზეს და შეაფასეს ომი თანამედროვე თვალთახედვით; გაიხსენეს ისტორიაში ცნობილი ომები; შეძლეს პრობლემის ანალიზი და შეფასება ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში, სხვადასხვა პოზიციიდან (ავტორისეული, მოსწავლის პოზიცია). მოსწავლე **ელისაბედ ბურძენიძემ** წარმოადგინა სლაიდშოუ „მსოფლიოს სხვადასხვა ომები“.

საკუთარი თვალსაზრისი მოსწავლეებმა არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე წარმოაჩინეს, სადაც დისკუსიის და დებატების ელემენტები (თეზისი, რეზოლუცია,არგუმენტები, დეფინიციები) გამოიყენეს. ჯგუფების მუშაობა ჟიურიმ შეაფასა, რომელიც თავად მოსწავლეებისგან შედგებოდა.

გაკვეთილის ბოლოს შევაჯერეთ აზრები და მოსწავლეებს დასაწერად შევთავაზეთ თემა „რა არის ომი ჩემთვის, ოცდამეერთე საუკუნის ახალგაზრდისათვის“.

მაგრამ აქ ყველაფერი არ დამთავრებულა, არანაკლებ საინტერესო იყო ჩატარებული გაკვეთილის ანალიზი, რომელსაც სხვადასხვა კათედრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. გაკვეთილმა მოწონება დაიმსახურა. შეკითხვებზე პასუხის გაცემა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და გაზიარება, ეს ხომ აუცილებელი ატრიბუტებია ნებისმიერი პედაგოგისათვის, მისი მომავალი საქმიანობის სწორად დაგეგმვისა და წარმართვის საქმეში.

ირმა ბოჭორიშვილი,
მანანა ბოყოველი
ზოდის საჯარო სკოლის
ქართული ენის და ლიტერატურის,
ისტორიის და სამოქალაქო
განათლების მასწავლებლები

სისხლიანი 25 თებერვალი

თბილისის 72-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – **მანანა კიკაჩეიშვილი**), 2015 წლის 25 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით, მიმდინარეობდა კვირეული ოკუპაციის დღეებთან დაკავშირებით (პროექტის ხელმძღვანელი – ისტორიის პედაგოგი **ირმა სამხარაძე**).

25 თებერვალს სკოლაში „დუმილის წუთი“ გამოცხადდა.

კვირეულის ფარგლებში გაიმართა: საუბრები – „ისტორიის გაკვეთილები“ (VI-XII კლასი, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრები); საკლასო წერა თემაზე – „ჩემი დამოკიდებულება 1921 წლის 25 თებერვალთან დაკავშირებით“, „ჯარისკაცის ფიქრები“, VI-X კლასი; გამოფენა – კედლის გაზეთები, ნახატები, VI- IX კლასი.

ჩატარდა ღია გაკვეთილები: VIII[4] კლასში – „რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოში“; X[1] კლასში – „ისტორიული თემის კვლევა“, საკვლევი თემა – „აფხაზეთის ომი“ (პედაგოგი – **ირმა სამხარაძე**);

მომზადდა ისტორიულ-ლიტერატურული კომპოზიცია „შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ“. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ:

VI კლასის მოსწავლეები: **ლაშა ციხისთავი, ბადრი ციხისთავი, სოფო წოწორია**;

VII კლასის მოსწავლეები: **სერგი ჯავახია, ნატა გიორგობიანი, მარიამ ნატროშვილი**;

VIII კლასის მოსწავლეები: **გიორგი ქარქაშაძე, თათია გიგანი**.

ღონისძიებამ ემოციურ ფონზე ჩაიარა. მოსწავლეები შემართებით კითხულობდნენ ტექსტებს ქართველი ხალხის თავდადებაზე ოკუპაციის დღეებში. მხატვრულად წარმოადგინეს მარო მაყაშვილის, კოტე აფხაზის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახეები. კარგად გაითავისეს ის ღირებულებები, რაზეც იდგა ამ ადამიანების გმირობა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მშობლები, სკოლის დირექცია, მასწავლებლები და მოსწავლეები.

დირექტორმა **მანანა კიკაჩეიშვილმა**, დირექტორის მოადგილემ **ნანა აბრამიშვილმა**, დამსწრე პედაგოგებმა და მშობლებმა ემოციურად დატვირთული ღონისძიებისათვის მადლობა გადაუხადეს პედაგოგ **ირმა სამხარაძეს** და მონაწილე ბავშვებს.

ფიქრია ოტიაშვილი
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
კათედრის ხელმძღვანელი

სიყვარულია თავად უფალი

სოფელ ხცისის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებმა ლიტერატურის მოყვარულთ ახალი სასწავლო წლის დასაწყისშივე მოვუყარეთ თავი, ჩამოვაყალიბეთ კლუბი, სადაც ხშირად ვიკრიბებით, განვიხილავთ საინტერესო თემებს, ვმსჯელობთ ქართველი და არა მარტო ქართველი ავტორების ნაწარმოებებზე. მოსწავლეები დიდი ინტერესით ჩაებნენ საკლუბო მუშაობაში. მათი აქტიურობა ხშირად გამხდარა ღონისძიებების ჩატარების სტიმული.

ამჯერადაც ასე იყო... სკოლის სააქტო დარბაზში შეკრებილებმა, კლასიკური მუსიკის ფონზე, კიდევ ერთხელ მოისმინეს ქართული სატრფიალო პოეზიის საუკეთესო ნიმუშები – გალაკტიონის, ლადო ასათიანის, ბესიკის, მურმან ლებანიძის, კონსტანტინე გამსახურდიას ლექსები. ერთმანეთს სცვლიდა ბავშვების მიერ მხატვრულად, გამართულად, ემოციურად წაკითხული ლექსები და სონეტები...

საღამო გამორჩეული იყო იმით, რომ თბილისიდან გვესტუმრნენ ახალგაზრდა პოეტები: **ქეთი დიდიშვილი, თეა თაბაგარი, ნინი ელიაშვილი, გიორგი კვიტატიანი, ალექსანდრე ახალკაცი, ნუკრი ბერეთელი**. ბუნებრივია, ასპარეზი მათაც დაეთმო. ჩვენი მოსწავლეები აღაფრთოვანა ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებამ. გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები, საჩუქრად მიიღეს ავტოგრაფიანი წიგნები. ჩვენივე რაიონის მკვიდრმა, პატარა პოეტმა **ლიზი ჩიტაძემ** საკუთარი ლექსებითა და ჩანახატებით მეტი სიხალისე და მრავალფეროვნება შემატა საღამოს. სკოლის კურსადმთავრებულმა, უნიჭიერესმა ახალგაზრდა პოეტმა **მიხეილ თუმანიშვილმა** საკუთარი ლექსები წაიკითხა, რაც საღამოს ბოლო და ყველაზე სასიამოვნო აკორდი იყო.

ჩვენი კლუბი მომავალშიც არაერთ საინტერესო ღონისძიებას ჰპირდება ჩვენი სკოლის ლიტერატურის მოყვარულთ.

ეკატერინე ლომსაძე,
თამარ კვინიკაძე
ხაშურის მუნიციპალიტეტის
სოფელ ხცისის საჯარო სკოლის ქართული
ენისა და ლიტერატურის პედაგოგები,
ლიტერატურული კლუბის ხელმძღვანელები

ინტერვიუ

ძიუდოს პიონერი გოგო

საქართველოში ქალთა ძიუდო არც ისე პოპულარულია, თუმცა უკვე გარკვეული წარმატებები მოგვეპოვება – გვყავს ევროპის ჩემპიონი და მესამე პრიზიორი ჭაბუკებში. მართალია, ჯერ უფროსებში ანალოგიური შედეგებით ვერ დავიკვეხნით, მაგრამ არც ეს დროა შორს.

ერთ-ერთი ამ მედალოსანთაგანი მარიამ ჯანაშვილია, ვინც 2013 წელს, ტალინში ევროპის ჩემპიონი გახდა. ეს ისტორიული გამარჯვება იყო, რადგან პირველი ქართველი ქალია, ვინც საჭიდაო სახეობებში ტიტული მოიპოვა. ის დედოფლისწყაროში, სოფელ ზემო მაჩხაანში დაიბადა 1996 წელს და ძიუდოში ვარჯიშიც იქვე დაიწყო, 2010 წლიდან კი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, სადაც გლდანში, 39-ე საჯარო სკოლაში სწავლობდა.

2013 წლის სეზონი მისთვის ჯერჯერობით ყველაზე წარმატებულიცაა და ყველაზე უიღბლოც – ევროპის პირველობაზე გამარჯვების გარდა, მსოფლიოზე ვერცხლი მოიპოვა, ხოლო ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე – ბრინჯაო, თუმცა იმავე სეზონში სერიოზული ტრავმებიც მიიღო. მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ იჭიდავა, როცა შარშან, ჩინეთში, მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე გამოვიდა. იქაც ტრავმამ დატოვა უმედლოდ – ნახევარფინალში წარმატებით გავიდა, მაგრამ ტრავმა გაუმიზეზდა და საბოლოოდ მეხუთეზე დარჩა. ბედის ირონიით, ორივე მუხლი დაიზიანა და მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, ექიმებმა სასწრაფოდ გადაწყვიტეს ოპერაციების გაკეთება. საბედნიეროდ, ამ პროცესმა კარგად ჩაიარა და 18 წლის სპორტსმენი კარიერის დასრულებას გადაურჩა. არადა, ჯანაშვილი თვითნაბადი ტალანტია, რასაც დიდი შრომისმოყვარეობაც ემატება. მცირე ასაკის მიუხედავად, მისგან უკვე ამ ციკლშივე რეალურად ელოდნენ რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებას.

ცხადია, გაცდენილმა პერიოდმა ტურნირებიც გამოატოვებინა, თუმცა შემოდგომიდან ისევ დაუბრუნდება ტატამს და არაა გამორიცხული, საგზური მაინც მოიპოვოს. იმედია, მისი მაგალითი ბიძგს მისცემს საქართველოში ქალთა ჭიდაობის განვითარებას, მასთან ინტერვიუ კი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საუბრით დავიწყეთ.

–როგორ მიდის მკურნალობის პროცესი, დაახლოებით, როდის შეძლებთ ჭიდაობას?

– პირველ მუხლზე 5 თვის წინ გავიკეთე ჯვარედინი იოგის ოპერაცია, 2,5 თვეში კი უკვე მეორეზე გავიკეთე იგივე, თუმცა იქ მენისკიც დაემატა. ორივე ფეხზე ერთდროულად არ შეიძლებოდა გაკეთება, რადგან საყრდენი უნდა მქონოდა. უკვე მესამე კვირაა, რეაბილიტაციის კურსს გავდივარ სარეაბილიტაციო ცენტრში, ყველაფერი კარგად მიდის და ექიმები კმაყოფილები არიან პროცესით. მეუბნებიან, რომ ივნისიდან უკვე შევძლებ სრული დატვირთვით ვარჯიშს, მანამდე კი – აპრილ-მაისში, შეკრებებზეც შეიძლება წასვლა, რასაც ვაპირებ კიდეც. სექტემბერში ევროპის ჩემპიონატია ახალგაზრდებში, ოქტომბერში – მსოფლიოსი. ექიმი მაიმედებს, რომ შევძლებ ამ შეჯიბრებებში გამოსვლას, რისთვისაც დიდი ენთუზიაზმით და შემართებით ვემზადები.

– ალბათ, ფსიქოლოგიურად ძნელი იქნებოდა ამხელა პაუზა...

– რა თქმა უნდა, ძალიან რთული იყო, ძალიან გამიჭირდა. განსაკუთრებით – პირველი ოპერაციის შემდეგ. ფაქტობრივად, დეპრესიაში ვიყავი. ვნერვიულობდი, როგორ ჩაივლიდა ოპერაცია, როგორ გაგრძელდებოდა სარეაბილიტაციო პერიოდი. ძალიან განერვიულებული ვიყავი, სახლში ლამის ყველას ვეჩხუბებოდი, მაგრამ როცა გავიკეთე, სიარული დავიწყე და გარეთ გამოვედი, გადავლახე ეს პერიოდი.

– ძიუდოში როგორ მოხვდით, რამ განაპირობა ეს არჩევანი?

– ბავშვობაში სხარტი ვიყავი, ენერგიული, სპორტი მიყვარდა და სოფელში ერთი წელიწადი კარატეზეც დავდიოდი. მერე ის ჯგუფი დაიშალა, მე კი გავიგე, რომ თურმე ჩემს სკოლაში ძიუდოს წრეც ყოფილა. იქ ხშირად ვმონაწილეობდი „მხიარულ სტარტებში“ და წარმატებითაც. ერთხელ, თურმე, ფიზკულტურის მასწავლებელმა ჩემს შესახებ ძიუდოს მწვრთნელს უთხრა, იქნებ დაინტერესდეთ მისითო. იმანაც, მოვიდეს და დაესწროს ვარჯიშსო. მეც ეს მინდოდა – მივედი, დავესწარი და მომეწონა კიდეც...

– მშობლები როგორ შეხვდნენ ამას, იცოდნენ, იქ რომ მიდიოდი?

– კი, იცოდნენ და დედა თავიდანვე წინააღმდეგი იყო, მამა – არა. არც ძმა ეწინააღმდეგებოდა ამას, რომელიც ყველაზე უფროსია 4 დედმამიშვილში. მოგვიანებით დედამ ორჯერ გამომიყვანა ძიუდოდან, მაგრამ მერე, როცა წარმატებები დაიწყო, ისიც შეეგუა, თუმცა ახლაც ხშირად მეუბნება, რას იკლავ თავს, რა გინდა მანდ, გამოდიო. ზოგადად, დედა ძალიან მეხმარება და ხელს მიწყობს.

– გარშემო მყოფების რეაქცია როგორი იყო?

– სოფელში მართლაც ცუდად შეხვდნენ ამას. გოგო ხარ, ძიუდოზე რა გინდაო, ყველა მეუბნებოდა. ზოგი იმასაც ამატებდა, ტანი დაგიმახინჯდებაო, მაგრამ ასეთ ლაპარაკს ყურადღებას არ ვაქცევდი, მივდიოდი და ჩემს საქმეს ვაკეთებდი. უხერხულობას მხოლოდ ის მიქმნიდა, რომ დარბაზში სხვა გოგო არ იყო და ბიჭებთან მიწევდა ვარჯიში. ამის გამო დარბაზში შესვლა არ მინდოდა, გამოსავალი კი იმაში ვნახე, რომ ჩემი უმცროსი და, ხატია იძულებით მიმეყვანა სავარჯიშოდ. ვფიქრობდი, თბილისში გადმოსვლის შემდეგ ის დაანებებდა თავს ვარჯიშს, თუმცა ასე არ მოხდა და ისიც შემორჩა ძიუდოს. დღეს უკვე თვითონაც გატაცებულია სპორტის ამ სახეობით და გარკვეული გეგმებიც აქვს, მაგრამ თავიდან არ უნდოდა ვარჯიში, არ მომყვებოდა დარბაზში. მაშინ მამაჩემს ვურეკავდი, არ მომყვება-მეთქი, ის კი ხატიას ურეკავდა და ასე ძალით მიმყავდა ვარჯიშზე. თუმცა იქაც მაბრაზებდა – ერთ ილეთს რომ გავუკეთებდი, დაწვებოდა და აღარ ვარჯიშობდა, ხან თავი სტკიოდა, ხან ფეხი და ხან რა... ეს მდგომარეობა მაშინ დასრულდა, როცა ერთნლიანი ვარჯიშის შემდეგ, 2009 წელს, ლაგოდეხში, საქართველოს ჩემპიონატში მესამეზე გავედი. მაშინ ჩემმა მწვრთნელმა, ვაჟა მოსულიშვილმა მირჩია თბილისში გადმოსვლა, რადგან აქ უკეთესი სავარჯიშო პირობები მექნებოდა. ერთ წელიწადში ასეც მოვიქეცით და თანდათან ჩავები სანაკრებო ცხოვრებაში.

– სკოლაში როგორ ხვდებოდნენ თქვენს სპორტსმენობას?

– თავიდან, როცა თბილისში გადმოვედი, კლასში არ გავამხილე ეს ამბავი და მხოლოდ ერთი ინციდენტის შემდეგ გაიგეს.

კლასში გვყავდა რამდენიმე თავში ავარდნილი ბიჭი, რომლებიც ჩემს უკან ისხდნენ და სპეციალური მილით ქაღალდის ბურთულებს მესროდნენ. ერთხელ, ისტორიის გაკვეთილზე, მივუბრუნდი, გაჩერდით-მეთქი, მაგრამ არაფერი, არც მეორედ ისმინეს, მესამედ კი წამოვუხტი, ჩავავლე ხელი, მივაგდე კედელზე და გამოვკარი ფეხი, თან დავუშინე წიხლები. კლასელები და მასწავლებელი იგუდებოდნენ სიცილით, მე კი გაბრაზებული არა და არ ვეშვებოდი. აი, მაშინ გაიგეს ჩემი სპორტსმენობა და ისიც, რომ სპორტსმენთან სიფრთხილეა საჭირო. ის ბიჭი გამარჯობას არ მეუბნებოდა, როცა დამინახავდა, შორიდან მივლიდა. საბედნიეროდ, არავის გაჰკვირვებია ჩემი ძიუდოისტობა, დღეს ეს ჩვეულებრივი ამბავია.

– ძიუდოს გარდა, გაქვთ სხვა გატაცება?

– ცეკვა მიტაცებს ძალიან. ისიც იმავე დონეზე მიყვარს, როგორც – ძიუდო, მაგრამ ძიუდომ გადაძალა. საოჯახო საქმეებიც მეხერხება – კერვა, ქსოვა, ვიცი საჭმელების კეთებაც, თუმცა ახლა დედა ხელს მიწყობს და აღარ მიწევს შრომა.

– ძალიან დატვირთული გრაფიკი გაქვთ. გრჩებათ დრო მეგობრებისთვის, ან პერიოდულად მაინც არ გიჩნდებათ სურვილი, თქვენც ისე იცხოვროთ, როგორც თქვენი თანატოლი გოგონები ცხოვრობენ?

– გრაფიკი მართლაც დატვირთულია, რადგან დღეში ერთჯერადი ვარჯიშით შედეგს ვერ მიაღწევ, ორჯერ და ხანდახან სამჯერაც კი მივარჯიშია. ტრავმამდე ჯერ ტრენაჟორებზე ვმუშაობდი, მერე კი სახლში ვვარჯიშობდი ჩემი შედგენილი პროგრამით – შტანგაზე, სისწრაფეზე და სხვ. სახლში 4-5 საათი ვემზადებოდი და ახლაც ნელ-ნელა დავუბრუნდები ამ გრაფიკს. ფეხების მომაგრებას, კუნთების გაძლიერებას დიდი დრო დასჭირდება და, ალბათ, სამჯერად ვარჯიშებზე გადავალ.

თავისუფალი დრო იშვიათად მაქვს, თუმცა ძიუდო არ მბეზრდება. მქონია შემთხვევა, როცა არ მივარჯიშია, მაგრამ რამდენიმე დღეში მივხვდი, რომ ამის გარეშე არ შემიძლია.

– ასეთი დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, კარგად სწავლასაც ახერხებდით...

– ნორმალურად ვსწავლობდი. ერთხელ რუსულის მასწავლებელმა მითხრა, სპორტზე რომ არ დადიოდე, კლასში კიდევ ერთი ათოსანი გვეყოლებოდაო. თუმცა სოფელში ჩემს კლასში დირექტორის და მასწავლებლის შვილები სწავლობდნენ და იქ მაღალ ნიშნებს არ დაგიწერდნენ, თბილისში კი ამის პრობლემა არ იყო.

– ჯერჯერობით სწავლის გაგრძელება ვერ მოახერხეთ...

– ამაში ტრავმებმა შემიშალა ხელი – ბოლო ორ წელიწადში სამი ოპერაცია გავიკეთე და დღესაც სულ ექიმებში ვარ. თუმცა კი ვფიქრობ სპორტის აკადემიაში ჩაბარებას, ოღონდ კონკრეტულ სპეციალობაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით.

– ის ტურნირიც გავიხსენოთ, როცა ევროპის ჩემპიონი გახდით.

– ის ტურნირი დღემდე კარგად მახსენდება, მაშინაც ტრავმირებული ვჭიდაობდი – ხელი მტკიოდა და ცალი ხელით მოვიგე ის შეჯიბრება. თან მანამდე ორჯერ ნავაგე ევროპის პირველობა. ბუნებრივია, გამიხარდა ეს გამარჯვება, მაგრამ გამოხატვა არ შემიძლია. უბრალოდ, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე რომ დავდექი, ვიფიქრე, შრომა აუცილებლად ფასდება-მეთქი. ამისთვის ძალიან ბევრი ვიშრომე და ბევრი მარცხიც განვიცადე. იმედია, მომავალშიც მივაღწევ წარმატებებს, რადგან სპორტის ამ სახეობისთვის თავი გადავდე. იმდენი რამე გამოვიარე, ჩემს ადგილზე ბევრი თავს დაანებებდა, მაგრამ ძლიერი ნებისყოფა მაქვს და გავუძელი.

ესაუბრა
ირაკლი თავაძე

ინფორმაცია

რეგიონებში აფხაზეთის დღის აღნიშვნა ხარაგაულიდან დაიწყო

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივით, იმერეთის რეგიონიდან – ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან დაიწყო მასშტაბური პროექტის – „აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის საქართველოს რეგიონებში“ – განხორციელება. ამ პროექტის ფარგლებში, 26 თებერვალს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, აფხაზეთის დღე აღინიშნა, შესაბამისად, საფუძველი ჩაეყარა აფხაზეთის დღის დაწესებას რეგიონებში. „გვახსოვდეს აფხაზეთი!“ – ამ ბანერითა და საკუთარი შემოქმედებით დახვდა აფხაზეთის დღის მონაწილე სტუმარ-მასპინძელს ხარაგაულის №2საჯარო სკოლა, საიდანაც ემოციებითა და შთაბეჭდილებებით დატვირთული დღე გაგრძელდა. საგანგებოდ ჩამოვიდნენ ამ სკოლასთან დამეგობრებული აფხაზეთის №1 საჯარო სკოლის წარმომადგენლები და მომავალი თანამშრომლობის გეგმებიც დასახეს.

საქართველოს რეგიონებში აფხაზეთის დღის დაწესების, აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის მთელი საქართველოსთვის, განსაკუთრებით მოზარდი თაობისთვის, გაცნობის მნიშვნელობასა და შესაბამისი ცნობიერების გამძაფრებაზე ისაუბრეს: აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა **ვახტანგ ყოლბაიამ**, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა **დიმიტრი ჯაიანმა**, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯემალ გამახარიამ**, შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის მინისტრის მოადგილე **ბელა კოპალიანმა**, ხარაგაულის გამგებელმა **კობა ლურსმანაშვილმა**, ხარაგაულის მეორე საჯარო სკოლის დირექტორმა **ვალერი გოგნაძემ** და სხვ.

განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლების შეხვედრა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომში დაღუპულთა მშობლებთან, რასაც წინ უძღოდა ომში დაღუპულთა მემორიალის ყვავილების გვირგვინით შემკობა.

გაიმართა სამუშაო შეხვედრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატს შორის.

შეხვედრის ბოლოს, აფხაზეთის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა „თეთრი ტალღა“, ხარაგაულის თეატრის სცენაზე, ნოდარ დუმბაძისა და გურამ ოდიშარიას ნაწარმოებების მიხედვით დადგმული სპექტაკლი – „გამარჯობა, სოხუმო!“ წარმოადგინა. თეატრის ფოიეში დამსწრეთ შეეძლოთ დაეთვალიერებინათ ფოტოგამოფენა „მოგზაურობა აფხაზეთში“.

აფხაზეთის დღის აღნიშვნაში, ასევე, მონაწილეობდნენ: აფხაზეთის მთავრობის წევრები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, იმერეთის ვიცე-გუბერნატორი **სოსო ხახალეიშვილი**, საქართველოს პარლამენტის წევრი **ელისო ჩაფიძე** და იმერეთის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობების ხელმძღვანელები. პროექტის მხარდამჭერები და ორგანიზატორები იყვნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, შპს კინოცენტრი „აფხაზეთი“, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი და ხარაგაულის №2 საჯარო სკოლა.

გაიმართა მრგვალი მაგიდა – „აფხაზური ენის დაცვისა და პოპულარიზაციის აქტუალური საკითხები“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივითა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „აფხაზური ენის დაცვისა და პოპულარიზაციის აქტუალური საკითხები“.

მრგვალ მაგიდას უძღვებოდა აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე **მანანა ქვაჩახია**. ქართულენოვან სკოლებში აფხაზური ენის სწავლების, შესაბამისი მეთოდიკისა და პროგრამის, აფხაზური ენის სახელმძღვანელოსა და სხვა ლიტერატურის შედგენა და გამოცემა – ამ და კიდევ სხვა, აფხაზური ენის განვითარებასთან დაკავშირებული, მოსაზრებების შეჯერების მიზნით, მრგვალი მაგიდის მუშაობაში მონაწილეობდნენ ენათმეცნიერები, ისტორიკოსები, საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო უწყებებისა და აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლები.

თავდაპირველად, ხაზგასმით ითქვა ქართულენოვან სკოლებში აფხაზური ენის სწავლების მნიშვნელობაზე. როგორც მანანა ქვაჩახიამ დასაწყისშივე აღნიშნა, *„საქართველოში არსებობენ ცალკეული ინსტიტუტები, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ზრუნავენ აფხაზური ენის განვითარებაზე, მაგრამ როგორც საკითხის კვლევისას აღმოჩნდა, მათ შორის კოორდინირებული მუშაობა არ არის. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, ისინი ერთმანეთის საქმიანობაზე არანაირ ინფორმაციას არ ფლობენ“.*

შემდეგ საუბარი ამ ხარვეზის ამოვსებისა და აფხაზური ენის ჩვენს საჯარო სკოლებში დანერგვის კონკრეტულ გზებსა და საშუალებებზე შეჩერდა – როგორ, რა ფორმით, რა რესურსებით შეიძლება განხორციელდეს ყოველივე ეს. ამასთან დაკავშირებით, დამსწრე საზოგადოებას თავიანთი ხედვა გააცნეს მოწვეულმა სტუმრებმა, რომელთა შორის იყვნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური**, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვახტანგ ყოლბაია**, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **გია გვაზავა**, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი **დიმიტრი ჯაიანი**, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **ჯონი აფაქიძე**, სსუ-ს აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის დირექტორი **თემურ გვანცელაძე**, წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი **სერგო ვარდოსანიძე**, აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთის მთავრობის, საქართველოს და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ინსტიტუტის თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და აფხაზეთის საჯარო სკოლების პედაგოგები.

სამთავრობო დელეგაცია საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობდა

26-27 თებერვალს, აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე **სულიკო თებიძე**, აჭარის ა/რ ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე **ლევან გორგილაძე**, აჭარის ა/რ მთავრობის აპარატის საგარეო საქმეთა ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ხათუნა ნაყეური**, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **დავით გაბაიძე** ვენის საერთაშორისო ცენტრის გაეროს ოფისში გამართულ კონფერენციაში მონაწილეობდნენ.

ევროპის რეგიონთა ასამბლეის მხარდაჭერითა და „ზერო პროექტის“ ფარგლებში გამართულ მეოთხე კონფერენციას თემაზე – „დამოუკიდებელი ცხოვრება და პოლიტიკური მონაწილეობა“ მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნის 500-ზე მეტი გადაწყვეტილების მიმღები პირი და ლიდერი ესწრებოდა. შეხვედრის მთავარი თემები იყო: შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებები, მათი სოციალური ჩართულობა, ახალი პოლიტიკისა და პრაქტიკის შემუშავება უკეთესი ცხოვრებისათვის.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, 150 ქვეყნის 3000-მდე ექპერტი ეცადა გამოევლინა ყველაზე ეფექტური და ინოვაციური პოლიტიკა შშმ პირთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად. განხილულ იქნა ახალი პოლიტიკის 40 პროექტი, ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებელ ცხოვრებასთან და მათ პოლიტიკურ ჩართულობასთან დაკავშირებით. მსოფლიოს წამყვანმა ექსპერტებმა შშმ პირთა უფლებების კონვენციის განხორციელების მიმდინარეობის პროცესში მიიღეს მონაწილეობა. ევროპის რამდენიმე ორგანიზაცია უკვე ჩაერთო ყოველწლიური კონფერენციის ფორმატში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ეფექტური ევროპული გამოცდილების განხილვის მიზნით, რათა ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს წაახალისონ, დაიცვან და კიდევ უფრო განავითარონ შშმ პირთა უფლებები და იზრუნონ მათი ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესებაზე.

ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილი იყო შეხვედრები ადამიანის უფლებათა დამცველ და „ზერო“ პროექტის პოლიტიკის კვლევისა და კონფერენციის ორგანიზატორთან – **ინგრიდ ჰაიდოფთან** და ვენის მერთან – **თომას რეშთან**.

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

3 ლარი

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23

მიმდინარეობს ხელმოწერა

მხატვრული ლიტერატურა

ათეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი**
მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი**
ისტორიის მიღმა
ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტეზუმას ასული**
ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
სტენდალი - **წითელი და შავი**
ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
მაინ რიდი - **კვარტერონი**
ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
ალბერ კოენი - **დედაჩემი**
გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი 14 ლარი

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

9 ლარი

სამკერდეზე რვეული ქართულ გართობებში

თითო ტომის ფასი – 10 ლარი

ქართველი მწერლები

1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
4. ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი
7. ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი
9. ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
10. თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
ამინდი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ქიმია
მეკობრეები
ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
ხალხთა დიდი გადასახლება
უძველესი ადამიანები
ოლიმპიური თამაშები
კრიმინალისტიკა
მათემატიკა
მეცნიერებები
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი
მთები
ჯანსაღი კვება
არქიტექტურა



რა არის რა



თამაზ ვასაძე

კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

10 ლარი

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან
ინტელექტი სკოლას

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

თემატური კლასიკები

დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროშები
11. ზღვის დინებები
12. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტაქნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები *(34X47 სმ)*

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ გლოზ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძანელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

27 თებერვალს ქართული პროფესიული ბალეტის ფუძემდებელს, ვახტანგ ჭაბუკიანს, დაბადებიდან 105 წელი შეუსრულდა. გთავაზობთ ახლობლების მოგონებებით აკინძულ ისტორიებს ქართველი მოცეკვავისა და ბალეტმეისტერის წარმატებულ თუ ტკივილიან ცხოვრებაზე.

ოცნოცბი ისტორიებით ავინძული ცხოვრება

მარინა ჭიქაძე, დისშვილი: ვახტანგ ჭაბუკიანი 1910 წლის 27 თებერვალს დაიბადა. მას ოთხი და და ერთი ძმა ჰყავდა. ოჯახი ხელმომჭირნედ ცხოვრობდა. ვახტანგი რომ წამოიზარდა, ოჯახს ეხმარებოდა – კალათებს წნავდნენ, სათამაშოებსაც აკეთებდნენ. ერთხელ შეკვეთა – დაწნული კალათა – წაიღო და აღმოჩნდა, რომ ის პერინის საბალეტო სტუდიაში მიიტანა. ალბათ, იქ მიხვდა, ვინ უნდა გამოსულიყო, რა ელოდა ცხოვრებაში...

თამრიკო რუხაძე, დისშვილი: ერთ-ერთ დას, თამარს, თავისი ოჯახი არ ჰყავდა და ამიტომ ვახტანგი და თამარი ერთად ცხოვრობდნენ, მარჯანიშვილის მოედანზე, უზარმაზარ და ლამაზ ბინაში, სადაც შვილები და შვილიშვილები, ყველა ერთად ვიკრიბებოდით, ფაქტობრივად, იქ გავიზარდეთ. ზაფხულობით ყველანი წყნეთში მივდიოდით მის აგარაკზე და იქ ვისვენებდით, საღამოობით ძალიან ბევრი სტუმარი ამოდიოდა, სახლს დიდი ვერანდა ჰქონდა. მისი დაბადების დღეები გრანდიოზული იყო ხოლმე, იშლებოდა დიდი, ულამაზესი სუფრა და ბევრი ხალხი მოდიოდა.

ნიკა გვარაძე, დისშვილი: ოჯახში ძალიან უშუალო იყო, ვერც კი ვგრძნობდით, რომ ამხელა პიროვნებასთან გვიწევდა ცხოვრება, ურთიერთობა. ყოველთვის უსმენდა ამერიკის ხმას, მაგრამ ხშირად რუსულ ხმას ახშობდნენ, ამიტომ ინგლისურს სწავლობდა.

ცირა ჩიკვაიძე, თაყვანისმცემელი: ყველას კარგად გვახსოვს „ოტელოს“ პრემიერა. იმდენი ხალხი იყო ოპერასთან, რომ წესრიგს ცხენოსანი მილიცია იცავდა, საერთოდ, ორი წელი იცავდა ცხენოსანი მილიცია ამ სპექტაკლს. პრემიერიდან მეორე დღეს გავიგეთ ბატონი ვახტანგი სად ცხოვრობდა. მივედით ყვავილებით, კართან დავაწყვეთ, ზარი დავრეკეთ და გამოვიქეცით. მერე, იმავე წელიწადს, თეატრი გასტროლზე ქუთაისში წავიდა – ბატონი ვახტანგი, ვერა წიგნაძე და მთელი საბალეტო დასი მატარებლით მიემგზავრებოდნენ. ჩვენ უფრო ადრე მივედით, მის კუპესთან ყვავილები დავწყვეთ და გარედან ვაკვირდებოდით, როდის შევიდოდნენ მატარებელში. ვახტანგი შეშფოთებული ეძებდა ყვავილების ავტორებს. ერთი-ორი წელი სისტემატურად დავდიოდით მის სპექტაკლებზე და მიგვქონდა ყვავილები, მაგრამ არ ვეცნობოდით. ერთხელ შემოგვითვალა, მენახეთო და ოპერის ბაღში დაგვიბარა. მივედით და გვითხრა: გირჩევთ იაროთ სპექტაკლებზე, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ახალგაზრდები ხართ, წინ ბევრი რამ გელით და ამისთვის დროს ნუ დაკარგავთო.

დორა მამუკაშვილი, მეზობელი: ვახტანგ ჭაბუკიანი ხშირად მოდიოდა თავის აგარაკზე წყნეთში. ერთი თეთრი ძაღლი ჰყავდა – ჯეკა, ჩვენც გვყავდა ისეთივე ძაღლი. ერთხელ მითხრა, თქვენი ძაღლი ჩემს ღობესთან ახლოს დააბით, რომ მასაც ვაჭამო ხოლმეო.

...ზამთარში ჩიტებისთვის აივანზე ყრიდა ხოლმე საჭმელს – ხორბალს, ამბობდა, ცოდვები არიან, მშივრები რომ დარჩნენო.

...ბუხრის თავზე „ბუხანკა“ პურს შემოდებდა, ვეუბნებოდი, ასე თაგვები გაჩნდებიან-თქო. მპასუხობდა – იმათაც ხომ უნდათ ჭამაო. თაგვებიდან დაწყებული ყველა ცხოველი უყვარდა.

რუსუდან აბაშიძე, ვახტანგ ჭაბუკიანის მოსწავლე: ოპერის თეატრის მეოთხე სართულზე საბალეტო დარბაზი იყო, სადაც პატარა გოგოებს იღებდნენ საბალეტო სკოლაში. ჩემს გარდა ყველა გამოიძახეს, მარტო დავრჩი, რადგან საბუთები არ მქონდა. ბატონმა ვახტანგმა იკითხა, ამ პატარა გოგონას რატომ არ ვსინჯავთო? უპასუხეს, საბუთები არ აქვსო. – მერე რა, ბავშვი აქ ზის და მოდით გავსინჯოთო. გასინჯვის შემდეგ მან პირდაპირ მითხრა, დედას უთხარი, რომ საბუთები აუცილებლად მოიტანოს, შენ სკოლაში მიღებული ხარო.

ერთხელ დედამისის საფლავზე წავედით. მე საფლავის გაწმენდა მოვინდომე. მან გამწია და მითხრა, ეს შენი საქმე არ არის, ეს ჩემი საქმეაო. დადგა მუხლებზე და ისე გაწმინდა დედის საფლავი.

1989 წელის 28 დეკემბერს ჩემი შემოქმედებითი საღამო იყო. სპექტაკლამდე 10 დღით ადრე მეუბნება, სიურპრიზს გიკეთებ – მომაკვდავ გედს იცეკვებო. დავიბენი. მომაკვდავი გედის მუსიკა 25 წლის განმავლობაში აღარ მოგვისმენია, იმიტომ რომ ეთერ ჭაბუკიანის გარდაცვალების შემდეგ მომაკვდავი გედი არავის უცეკვია. 10 დღის განმავლობაში იმუშავა ბატონმა ვახტანგმა ჩემთან. ბოლო რეპეტიციაა, ვახტანგი მაყურებელთა დარბაზში დირიჟორის ადგილას დგება და იქიდან მიჩვენებს გედის მოძრაობებს... უცებ ვიგრძენი, რომ ეს ჩვენი ბოლო ურთიერთობა იყო. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, ბატონი ვახტანგი ჩემთან ამოდის სცენაზე და მეკითხება: ნინიკო სად არის? სპექტაკლში ჩემი შვილი, ნინო თამაშობდა. ვუთხარი კულისებში-მეთქი. დაუძახეო, ნინიკო მოვიდა, ვახტანგი ერთ ხელში მის ხელს იჭერს, მეორეში – ჩემს და მეუბნება– რუსიკო, შენ წადი, ნინიკო გაუშვი წინ!

თამრიკო რუხაძე: ეთერ ჭაბუკიანი ვახტანგის დისშვილი იყო და ძალიან უყვარდა. ეთერი ბალერინა რომ გახდა, ვახტანგმა თავის გვარზე გადაიყვანა.

მარინა ჭიქაძე: დედას და ვახტანგს ძალიან ბევრი საერთო ჰქონდათ და ძალიან ახლო ურთიერთობაც. 1968 წელს, როცა დედა გარდაიცვალა, ვახტანგმა ისე განიცადა, რომ თქვა – ჩემი ცხოვრება დამთავრდაო. ის საბოლოოდ დაემშვიდობა სცენას, სცენამ კი, ფაქტობრივად, ორი ჭაბუკიანი დაკარგა. ეს ტრაგიკული შემთხვევა საიდუმლოა, რომელიც ბოლომდე არ ვიცით. ამ თემაზე სახლში საერთოდ აღარ ლაპარაკობდნენ... დედას გარდაცვალების შემდეგ ჩემზე ხშირად ამბობდა, რომ ძალიან ვგავდი მას და ჩემი ყურება ამის გამო არ შეეძლო.

ნიკა გვარაძე: როცა ოპერის თეატრი დაიწვა და ცდილობდნენ მისთვის დაბრალებას – ეს მის ცხოვრებაში უმძიმესი პერიოდია.

თამრიკო რუხაძე: დაიჭირეს მამა – თენგიზ რუხაძე, რომელიც ფილარმონიაში სცენის რეჟისორად მუშაობდა და უნდოდათ ხელი მოეწერა ჩვენებაზე, რომ ვახტანგ ჭაბუკიანმა დაავალათ ოპერის დაწვა, რისთვისაც დიდი თანხა გადაუხადათ.

ცირა ჩიკვაიძე: თენგიზი მართლაც დიდებული ვაჟკაცი აღმოჩნდა. მას პროვოკაციებს საკანშიც კი უწყობდნენ. ვიცი ასეთი შემთხვევის შესახებ, ვიღაცამ მის საწოლთან ჩამოიხრჩო თავი. ის ვერ გატეხეს. ბატონ ვახტანგს ხელი ვერავინ დაადო, იმიტომ რომ ეს საშინელი მკრეხელობა იყო.

მარინა ჭიქაძე: იმ პერიოდში გასტროლზე ძალიან ცოტა ვინმე თუ დადიოდა უცხოეთში. ვახტანგს ნებისმიერ ქვეყანაში შეეძლო დარჩენა, მაგრამ ამაზე არასოდეს უფიქრია. ერთი კვირის ან ათი დღის შემდეგ, თავისი სახლი ენატრებოდა და ყოველთვის შინ ბრუნდებოდა.

ნიკა გვარაძე: სამწუხაროდ, იყო პერიოდი, როცა ის თეატრიდან გაათავისუფლეს – 1972 წელს. ეს მისთვის, რა თქმა უნდა, დიდი დარტყმა იყო. საერთოდ, გაუტეხელი ადამიანი იყო, დიდი ნებისყოფის მქონე.

ცირა ჩიკვაიძე: იმ პერიოდში დამირეკა, მოდი ჩემთან ჩაი დავლიოთო. ჩაი დავლიეთ და ბევრი ვისაუბრეთ ათას რამეზე, მაგრამ არ გვისაუბრია მისთვის ყველაზე მტკივნეულ თემაზე – თეატრიდან გაშვებაზე, თუ როგორ ცუდად მოექცნენ. არავინ გაგვილანძღავს.

გარდაიცვალა 6 აპრილს, იმ დღეს, როცა ეთერი გარდაიცვალა და დაკრძალეს 11 აპრილს, ეთერის დაკრძალვის დღეს.

მარინა ჭიქაძე: მისი მოღვაწეობის და ღვაწლის დაფასება საბჭოთა კავშირში ეტაპობრივად მიმდინარეობდა. იმდროინდელი ყველა წოდება და ჯილდო ჰქონდა მიღებული. იცით, საწყენი რა არის? საქართველოში სასურველი ჯილდო – რუსთაველის პრემიის ლაურეატობა ვახტანგისთვის არავის მიუცია, არც საპატიო თბილისელის წოდება. ის მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს და ამით, ალბათ, ქართველმა ერმა მის მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოხატა.

მოამზადა
ლალი ჯელაძემ

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >